რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 22 აგვისტო 1917 წ.

ერთობა

ფასი 12 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ., მეოთხე გვერდზე—15 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: **Тифлисъ почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“.** სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. **Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).**

ტელეფონი 16—62.

№ 128 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 128

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში:

ერთი თვით—2 მან. 60 კაპ., ორი თვით—5 მან. 20 კაპ., სამი თვით—7 მან. 80 კაპ., ოთხი თვით—10 მან. 40 კაპ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კაპ. ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველი რიცხვიდან. ადრესის შეცვლა პროვინციელ ხელის-მომწერთათვის 1 მანეთი.

გაზეთის ფასი ხელის მომწერ. წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: **Тифлисъ, почтовый ящикъ № 199., редакція „Эртоба“.**

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლღას ქუჩა, № 6.

იმ ხელის მომწერთ, რომელთაც ამ წლის მეორე ნახევრის ფული ძველ ფასობაზე აქვს გამოგზავნილი, უმორჩილესად ვსთხოვთ შესაფერათ შეავსონ თავიანთი ხელის მოსაწერი ფული ზემოხსენებულ ფასის და მიხედვით.

სასტუმრო „ბომონდის“ ხელზე მოსამსახურენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, რომ 19 ამ თვეს დღის 1 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი თანამოსამსახურე

გიორგი ალექსის ძე დათაშვილი

გამოსვენება დღეს 22 აგვისტოს დილის 9 საათზე, მიხეილის პროსპექტი, ნემეცთა ეკლესიის პირდაპირ. (1—1)

რესტორანების, კლუბების, სასტუმროების, საჩაიე-საყავეების მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა აუწყებს ამხანაგებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამგეობის და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წევრი

გიორგი ალექსის ძე დათაშვილი

რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია დღეს 22 აგვისტოს, გამოსვენება დილის 9 საათ. თავის ბინიდან, მიხაილოვის პროსპექტი, № 82

ღრმათ დამწუხრებულნი ბიძანები, ათანასე, ნესტორ და პეტრე ნინიძეები, ბიძის შვილები: ვიქტორ, ელენე, მინადორა, აკაკი, ზაქრო და გიორგი ნინიძეები ამით ვაუწყებთ, რომ 9 აგვის. ტრაღიკულად გარდაიცვალა ნათესავთ და ამხ.-მეგობ. ფრონტზე პირველის დის-წული, მეორენისა მამიდაშვილი, მედიცინის ფერშალი

კოტე გრიგორის ძე სტეფანოვი.

დაკრძალვის დღე შემდეგ ჩამოსვენებისა იქნება გამოცხადებული. 2—2

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები რაჟდენ და ელისაბედ სალუქვაძეები, ძმები დავით და მიშა, ბიძა ვასო სალუქვაძე, ამით ვაუწყებთ ნათესავებს და ამხანაგ-მეგობრებს, რომ თათრის ფრონტზე 9 აგვისტოს ტრაღიკულათ გარდაიცვალა მედიცინის ფერშალი

კოტე გრიგორის ძე სტეფანოვი.

დაკრძალვის დღე ჩამოსვენების შემდეგ იქნება გამოცხადებული, 3—2

პური

პროფესიონალურ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების საყურადღებოთ.

20 აგვისტოდან შემოღებულ იქნება ბარათების სისტემა პურზე. ის პირები, რომლებიც ფიზიკურ შრომას ეწევიან, თანახმათ სასურსათო კომიტეტის და მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს გადაწყვეტილებისა მიიღებენ პურს ორჯერ მეტს იმაზე, რაც საერთოთ არის დადგენილი.

ამისათვის ქალაქის სასურსათო კომიტეტი სთხოვს ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს მისცენ თავიანთ წევრებს განსაკუთრებული მოწმობები, რომლითაც ისინი მიიღებენ დამატებითი პურის კერძს.

მოწმობების ბლანკები უფასოთ მიიღება ქალაქის სასურსათო კომიტეტის პურის ბიუროში, შესაფერი ორგანიზაციის მოთხოვნით.

(3—2) **ქალაქის სასურსათო კომიტეტი.**

პური

ქალაქის სასურსათო კომიტეტი აუწყებს მოქალაქეებს ბარათების სისტემით პურის მიცემა

დროებით გადაიდო

ხელახალ განკარგულებამდე.

(3—2) **თფილისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი.**

ქალაქის სასურსათო კომიტეტი სთხოვს ყველა ორგანიზაციებს

სახლის პატრონებისა და დამქირავებლებისა

აუწყონ საჩქაროდ თავიანთი ადრესები და უჩვენონ ორგანიზაციის პასუხის მგებელი პირები.

ქალაქის სასურსათო კომიტეტი. (3—3)

განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი

8 კლასიანი ვაჟთა და ქალთა გიმნაზია

ყოველგვარ უფლებით

დ. ი. ბერიოზიშვილის

მიიღებიან მოწაფეები I მოსამზ., უმცროს და უფროსს მოსამზადებელ I, II, III, IV და V კლასში

თხოვნების მიღება ყოველ-დღე. ✦ გამოცდა დაიწყება 21 აგვისტოს.

დროებითი კანცელარია ღიაა დილის 9—2 საათ. და საღ. 5—8 საათამდე ბათუმის ქ., № 23.

დიდუბე, (ელისაბედის ქ. ყურე) მეორე სართული. ტრამვაი 8.

სამანდატო კომისია მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციისა

სამანდატო კომისიის წევრთა მორიგეობა დანიშნულია ორშაბათობით და ხუთშაბათობით საღამოს 6—8 საათამდე სასახლეში, ყოფილ მუშათა კომისიის სადგომში. დანიშნულ დღეებში სამანდატო კომისიის წევრები სცემენ ახალ მანდატებს, აძლევენ ცნობებს, მოწმობებს საბჭოს წევრებს. (5—4)

8 კლასიანი გიმნაზია

ე. ს. გილანიშვილისა

სრულ უფლებიანი ორთავ სქესის ბავშვებისათვის.

თხოვნები მიიღება ყოველ-დღე 10—1 საათამდე, ნაძალადევი, ლოტკინის ქუჩა № 86.

განცხადება

23 აგვისტოს დილის 11 საათზე შესდგება პლენარული კრება თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტისა (პეტრე დიდის ქ. № 5)

დღის წესრიგი შემდეგია: 1) გამგეობის ანგარი; 2) კომიტეტის მოქმედების გეგმა; 3) მოხსენება ადგილებიდან; 4) არჩევა თფილისის გუბერნიის სასურსათო გამგეობისა; 5) მიმდინარე საქმეები. ვინაიდან კითხვები ძრიად სერიოზული და გადაუდებელია, დაბეჯითებით ვსთხოვთ წევრთ აუცილებლათ დაესწრონ კრებას. (3—2)

ოთხშაბათს 23 აგვისტოს საღამოს 7 ნახ. საათზე მე-6-ე გიმნაზიის შენობაში, უდელის ქუჩა, დანიშნულია რ. ს. დ. მ. პ.

მეოთხე რაიონის წევრთა კრება

ვთხოვთ ამხანაგებს არ დააგვიანონ და აუცილებლათ დაესწრონ კრებას. (2—1)

განცხადება.

მომპარეს. ს. ძროხა შავი, შემდეგი ნიშნებით: მარჯვენა ყურზე ხუთი გაჭრილით, მარცხენაზე ორი გაჭრილით, უკანა ბარკალზე რუსული ასოთი „T“ [illegible] თეთრი [illegible] 6 თვის. ვინც ამ საქონლის ბინაობას შემატყობინებს იქნება დაჯილდოებული. ადრესი ჩემი: Разъѣздъ 300—версты зкв. дар. Димитрій П. Хуцишвили артельный староста

გზა მშვიდობიანობისაკენ.

ზავის საკითხი უდიდეს პრობლემათ გადაიქცა და ამ ჟამათ მთელი კაცობრიობის დემოკრატიული ნაწილი დასახელებულ საკითხის გარშემო ტრიალებს.

საერთაშორისო ომის საშინელებამ პროლეტარიატის ყველა ჯგუფები და ორგანიზაციები აამოძრავა და ყოველი ამათგანი გამოსავალ გზას ეძებს.

ახლა საერთაშორისო პროლეტარიატის აქტიური გამოსვლის ხანაა და უკანასკნელიც მსოფლიო ბოროტებას, მსოფლიო სოციალურ უკუღმართ მოვლენას საერთო ძალ ღონით ებრძვის და დროს შესაფერისად ირაზმება.

ბურჟუაზიის იმპერიალისტურმა პოლიტიკამ თავისდა უნებურათ წარმოშობა მთელი ქვეყნის პროლეტარიატის ამოქმედება და ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე კლასები ომის საკითხში ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებენ. არსი ქმნის შემეცნებასი და ეს მეცნიერული თქმულება მთელი თავისი სისწორით სინამდვილეთ გადაიქცა.

მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს ასეთი საზოგადოებრივი მოვლენა. საწარმოვო ძალთა განვითარებამ მთელი კაცობრიობა ომის ალში გახვია და კაცობრიობის ფართო მასის ეკონომიური და კულტურული არსებობა ხიფათში ჩავარდა. მსოფლიო ომის თვითეული დღე მეომარ და ნეიტრალურ სახელმწიფოების მუშათა კლასს მეტის-მეტათ ძვირათ უჯდება და თვითეული დღე მისგან აუარებელ ადამიანთა და მილიონობით ნივთიერ მსხვერპლს მოითხოვს. განსაკუთრებით ერივნებისა და სახელმწიფოებისა ყველა მეომარ სახელმწიფოების დემოკრატია წარმოუდგენელ გაჭირებას განიცდის და ყველა ერთად უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან.

ეჭვს გარეშე ერთგვარი საერთო მდგომარეობა, საერთაშორისო პროლეტარიატის ეკონომიური და სოციალური თანასწორი სიდუხჭირე მათ შორის საერთო შეხედულებას, საერთო მოქმედებას გამოიწვევდა და ყველა ერთად არსებულ ომის წინააღმდეგ ამხედრდება.

მოხდა ის რაც უნდა მომხდარიყო. მსოფლიო ომმა მსოფლიო პროლეტარიატი იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ აამხედრა და თითქმის ყველა მეომარ და ნეიტრალურ სახელმწიფოების სოციალისტების უმრავლესობა საერთო ძალღონით ცდილობს ამ არაჩვეულებრივი ომის გათავებას.

ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, რუსეთის, გერმანია-ავსტრიის კოალიციის სოციალისტები, საბერძნეთის, შვეიცარიის ბელგიის, სამხრეთ აფრიკის კოლონიების და სხვა ქვეყნის მუშათა პარტიების უმრავლესობა მომხრეა დაუყონებლივ მოწვეულ იქნას საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენცია და ამ კონფერენციაზე შემუშავებულ იქნას საერთო ზომები რომლის მეოხებითაც შეძლებენ ამ არაჩვეულებრივ ომის დაბოლოებას და უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოგდებას. ამ მიზნისათვის მათ უკვე განიზრახეს სტოკჰოლმის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციის მოწვევა და აქ დასწრების სურვილი ყველა ქვეყნის სოციალისტების დიდმა უმრავლესობამ განაცხადა. გამონაკლისს ზოგიერთა უმნიშვნელო ჯგუფები შეადგენენ და დიდი უმრავლესობა სტოკჰოლმის კონფერენციაზე დასწრების მომხრეა.

ძველი ინტერნაციონალი, რომლის სათავეშიაც თვით კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი იდგნენ ომის დროს მიუხედავად ომის დაფასების აზრთა სხვადასხვაობისა საერთაშორისო პროლეტარიატს ომის წინააღმდეგ მოუწოდებდენ და მათ გაერთიანებული გამოსვლისაკენ მოუხმობდენ. ძველმა ინტერნაციონალმა კავკასიის ომის დროს—სახელდობრ 1859 წ., როცა რუსეთის მთავრობა შამილის წინააღმდეგ და საზოგადოთ კავკასიის მთის მცხოვრებთა დაპყრობის გამო ომს აწარმოებდა—პროტესტი განაცხადა ასეთ ძალმომრეობის წინააღმდეგ. საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარულ გამოსვლას მოითხოვდა.

ასე იქცეოდა ძველი ინტერნაციონალი, ასევე იქცეოდა მეორე ინტერნაციონალი და ყოველ ომების დროს პროლეტარიატის გაერთიანებულ გამოსვლას მოითხოვდა.

ახლა, როცა ომის ალშია გახვეული არა რომელიმე სახელმწიფო, არამედ მთელი კაცობრიობა—ეჭვს გარეშე ასეთ პირობებში ყველა მეომარ და ნეიტრალურ სახელმწიფოების ორგანიზაციულათ გამოსვლა აუცილებელია.

მსოფლიო პროლეტარიატმა საერთაშორისო ომის დროს უახლოეს მიზნათ საპატიო ზავის ჩამოგდება დაისახა და აქეთ მოუწოდებს ყველა რევოლიუციონურ ძალებს.

მაგრამ არსებობენ ზოგიერთა სოციალისტური ჯგუფები, ანარქისტ-ბლანკისტები, რომლებიც საერთაშორისო პროლეტარიატის ასეთ სწრაფვას და ერთობლივ გამოსვლას ებრძვიან, ზავის ტალღების შეჩერება თავიანთ პატარა მუშტებით მოუწადინებიათ და უნდათ პროლეტარიატს მოახვიონ ის, რაც თითო ოროლა არა მარქსისტების თავში ტრიალებს.

უკანასკნელ ჯურის სოციალისტები სტოკჰოლმის კონფერენციაზე წასვლას არ აპირებენ, ხალხის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას მოღალატეობათ სთვლიან. ზავის ჩამოგდების აუცილებელ პირობათ ახლა „დაძმობილების“ მაგიერ საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციას ასახელებენ და ომის გამოსავალს ამაში ხედავენ. რუსეთის ობიექტიურმა სინამდვილემ, საწარმოვო ძალთა განვითარებამ და საზოგადოთ რევოლიუციის მსვლელობამ უტოპიურ ბლანკისტური სოციალისტურ-რევოლიუციაზე შეხედულება გააცრუა. და ასევე აცრუებს მათ შეხედულებას დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატების საუკეთესო ლიდერები, მთელი მუშათა კლასი და მათ მიერ შემუშავებული შეხედულებანი.

დღეს მსოფლიო პროლეტარიატმა რუსეთის რევოლიუციონურ კლასებთან ერთად მორიგ საკითხათ ზავის ჩამოგდება წამოაყენა და ამ ზავის ჩამოგდების დაჩქარება საერთაშორისო სოციალისტური პარტიების საერთაშორისო კონფერენციაზე გაერთიანების საშუალებით დაასახელეს.

მეომარ სახელმწიფოების სოციალისტები სოციალისტური რევოლიუციის დაწყებას ვერ მოუცდის და იგი შეერთებული ძალით ცდილობს ამ ჟამად ომი დააბოლოვოს და საშინელი სისხლის ღვრას ბოლო მოუღოს. ამიტომ სოციალისტების დიდი უმრავლესობა ზავის ჩამოგდებას საერთაშორისო შეკავშირებაზე, საერთო გამოსვლაზე ამყარებენ და ყველა ქვეყნის სოციალისტებს აქეთ მოუწოდებენ. მსოფლიო ომის მოსპობა საერთაშორისო დემოკრატიის ორგანიზაციულად და შეთანხმებულად მოქმედების საქმეა.

«სახალხო საქმე» და აკაკი ჩხენკელი.

კვირის „სახალხო საქმეს“ კვლავ აკაკი ჩხენკელი ჰყავს მიზანში ამოღებული.

ჩხენკელის შესახებ სწერს მთელს მეთაურს.

ჩხენკელის სიტყვის გამო ვრცელ წერილს სწერს გრ. რცხილაძე.

საბუთებიც მოჰყავთ იმის, რომ დაამტკიცონ „ჩხენკელის აშკარა ღალატი ამიერ-კავკასიის ერების ინტერესებისა“.

მართლა ის საბუთი რათა ღირს, რომ ჩხენკელს მხოლოობითი რიცხვშიაც აბრუნებენ და მრავლობითი რიცხვშიც!

ჩხენკელი და ჩხენკელებიო—სწერენ.

თურმე „მოსკოვის თათბირმა სავსებით გამოააშკარავა საქართველოს „გუბერნატორის“ სულისკვეთება და ჩვენც კარგათ შეგვიძლიან ხსენებული „გუბერნატორი“ დავახასიათოთო—სწერს „სახალხო“.

რას წარმოადგენდა თავის-თავად მოსკოვის თათბირი?

იქ ლაპარაკობდენ და თათბირობდენ ქვეყნის იმ ცოცხალ ძალების გაერთიანებაზე, რომელთაც რევოლიუციით მოპოვებული თავისუფლებანი უნდა ხალხს შეანარჩუნოს, იქ ლაპარაკობდენ იმ სულიერ განწყობილებაზე, რომელიც ხალხის სხვადასხვა წრეებში ამ ჟამად სუფევს.

აკაკი ჩხენკელმაც გააცნო დამსწრეთ ამიერ კავკასიის ერთა და სხვადასხვა ჯგუფთა თუ პარტიათა სულიერი განწყობილება.

ამიერ-კავკასიის ერები ურთი-ერთ შორის თანხმობით ცხოვრობენ, უმთავრეს საკითხში, ე. ი. რევოლიუციის დაცვის საქმეში, რუსეთის დემოკრატიასთან, რუსის ხალხთან არიან, განსაკუთრებულ მოთხოვნებს ამ ჟამათ არ აყენებენო და სხ. ერთი სიტყვით, ამიერ-კავკასიაში აღარ არსებობს ის „ინოროდეცი“, რომელიც ახლა ხმარებაშიაო და რომელიც „გამოყოფის“ შინაარსს შეიცავსო. აი რა სთქვა ჩხენკელმა! და მერე „სახალხო საქმე“ და მისმა „სარევოლიუციო“ პუბლიცისტებმა არ იცოდენ, რომ ჩხენკელი ამას იტყოდა იქ, რომ ის ამ გზით მუშაობს აქ?

ეს მათ კარგათ იცოდენ, მაგრამ თუ ამ ჟამად განგაში ასტეხეს—ეს იმის ნიშანია, რომ ზოგიერთ გულუბრყვილოებს თავი სამშობლოს მხსნელებათ მოაჩვენონ—შეხედეთ: ჩხენკელმა და სოც.-დემოკრატებმა სამშობლოს უღალატეს, ჩვენ სამშობლოს ვიცავთო!

მოსკოვის თათბირზე ჩხენკელის გამოსვლით, მათ „საუკეთესო შემთხვევა“ ნახეს, რათა დემაგოგიური დემონსტრაცია მოეხდინათ და მოახდინეს კიდეც!

რა უნდა ეთქვა ჩხენკელს?

„სახალხოს“ თქმით „ფინლიანდიამ ერთი კაციც არ გაგზავნა თათბირზე თავის პროგრამის გამოსახატავად... „უკრაინამ თავის დამცირებათ მიიჩნია მოსკოველებთან ბაასი, ჩხენკელი ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ მთავრობათა სახელით ამაყად აშკარავებს ყოველ მამულიშვილისათვის სამარცხვინო გრძნობებს“...

აქედან აშკარაა: „სარევოლიუციო“ „სახალხოს“ აზრით მონაწილეობაც კი არ უნდა მიგვეღო თათბირში, ვინაიდან „უკრაინამ არ ისურვა მოსკოველებთან ლაპარაკი“, და თუ მივიღეთ—ჩხენკელს, ალბათ, ქართველი ხალხის და აგრეთვე ამიერ-კავკასიის სხვა ერების სახელით ასეთი მოთხოვნა უნდა წაეყენებინა „თათბირისთვის“: თუ მოგვცემთ ავტონომიას ან სრულ დამოუკიდებლობას, ჩვენც თქვენთან ვიქნებით, თუ არა,—მშვიდობით ბრძანდებოდეთო!

საერთაშორისო ომი.

დასავლეთის ასპარეზზე ბრძოლა იწყება.

გერმანელებმა ჩრდილოეთ ფრონტზე—განსაკუთრებით რიგის რაიონში შემოტევა დაიწყეს და ამ შემოტევას სერიოზულ ხასიათს აძლევენ. მან რიგის სამხრეთ-აღმოსავლეთით გაძლიერებული იერიშები მიიტანა, მდ. დვინა გადალახა და კულფერგრამერი დაიკავა. ამის შემდეგ მან ჩრდილოეთისაკენ იბრუნა პირი და აქეთ განაგრძობს იერიშების მიტანას. ეჭვს გარეშეა ამ ჟამათ მას რიგა აქვს ნიშანში ამოღებული და მის ბედს სულ მოკლე ხანში ასე თუ ისე გადაწყვეტს.

გერმანელებმა იერიშების მიტანა დაიწყეს კოველისა და ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით ერთი სიტყვით მტერმა ჩრდილოეთ და საზოგადოთ დასავლეთ ასპარეზზე იერიშები დაიწყო და დიდი ბრძოლაში ებმება.

რუმინიის ფრონტზე, ფოკშანის მიმართულებით რუსეთ-რუმინიის ჯარი მოწინაღმდეგეების იერიშებს იგერიებს.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

საფრანგეთის ფრონტზე მდ. ენია რაიონში საფრანგეთის ჯარმა კვლავ წინ წაიწია.

იტალია-ავსტრიის ფრონტიდან ცნობა არ მოსულა.

ეს იქნებოდა თურმე ერის ინტერესების დაცვა, რევოლიუციონერობა და სხ.

ასე მსჯელობენ „სახალხოს“ შორს მჭვრეტელი პოლიტიკოსები!

უფრო „ღრმათ“ უცქერის საკითხს გრ. რცხილაძე.

მისი აზრით—„ვერც ერთი მოხელე ვერ მოიფიქრებდა ისეთის სიცრუის შეთხზვას, როგორიც „ამხანაგმა“ ჩხენკელმა მოჩმახა“.

მაგრამ გრ. რცხილაძის აზრით „ეს ფაქტი გვიჩვენებს, თუ საითკენ არიან მიმართულნი საქართველოში სოციალ-დემოკრატების და სარევოლიუციო ორგანიზაციების ზრახვანი.. რევოლიუცია საქართველოში რუსეთის ცხოვრების გამოხმაურებაა. რუსეთს კი რევოლიუცია თავის ნაციონალური ძალ-ღონის ასაღორძინებლათ უნდა და არა რუსეთში მცხოვრებ სხვადასხვა ერის გასაძლიერებლათ“.

ამიტომ იდევნება თურმე ყოველივე ეროვნული მოქმედება ჩვენს ქვეყანაში!

თუ თქვენ გრ. რცხილაძის დებულებას მიიღებთ რუსეთის რევოლიუციის შესახებ, დღესვე უნდა გამოეთიშოთ ამ რევოლიუციას—სხვისი ძალ-ღონის ასაღორძინებლათ, აბა, რისთვის უნდა ღვაროთ სისხლი!

მაგრამ, საბედნიეროთ, ეს ასე არ არის!

რუსეთის რევოლიუციის გამარჯვება გამარჯვებას მოუტანს საქართველოს და აგრეთვე რუსეთში მცხოვრებ სხვა ერებსაც, ხოლო რევოლიუციის დამარცხება რუსის ხალხის დამარცხებასთან ერთად, სხვა ერების დამარცხებაცაა.

აი, გრ. რცხილაძის დებულების მეორე საწინააღმდეგო დებულება.

ამიტომ ჩვენ უნდა ვიმუშაოთ რევოლიუციონურ ძალთა გაერთიანების ნიადაგზე. ამიტომაა, რომ ჩვენ ყოველთვის სიფრთხილით ვეკიდებით ისეთი ორგანიზაციების შექმნას, რომლებიც თუ არ გათიშვენ ამ ძალებს, მათ გაერთიანებას გააძნელებენ.

ამ ნიადაგზე ვმუშაობდით ჩვენ რევოლიუციამდე, ამ გზით ვმუშაობთ რევოლიუციის დროსაც და ჯერ-ჯერობით არ არის არავითარი საბუთი, რომ ის შევსცვალოთ.

გრ. რცხილაძე და „სახალხო“ მაშინ პოლონელ „ნაროდოვცებს“ მხარს უჭერდნენ, ახლა მხსნელად დაუსახავთ უკრაინელები, ვინაიდან მათ მოსკალები ეჯავრებათ...

„სახალხო საქმე“ ასე ათავებს წერილს: „არასოდეს არ გვჯეროდა სოც.-დემოკრატიის ეროვნული მოღვაწეობისა და სხ.

ჩვენც ამ აზრისა ვიყავით თქვენზე, თქვენ ამას 19 აგვისტოს გაზეთში ასე ასაბუთებდით:

„გლეხ-კაცობამ რომ არაფერი მიიღოს რევოლიუციით, ს.-დემოკრატია სრულიადაც არ შეწუხდება, ვინაიდან გლეხკაცობის გაღატაკება-დაჩაგვრა სოც.-დემოკრ. მოძღვრებისათვის უმნიშვნელოა. რაც მალე გაღატაკდება გლეხი—მით უკეთესი... სწორედ იმიტომ არის ადვილი სოციალ დემოკრატიული მიწის პროგრამა, რომ სოც.-დემოკრატიას არ აღარდებს გლეხობის ქონებრივი დაბეჩავება. მათი პროგრამა აშენებულია გლეხკაცის ქონებრივ მდგომარეობის არა აღდგენაზე, არამედ—დაკარგვაზე“.

თუ ასეთია სოციალ-დემოკრატების მუშაობა, რაღას მოგვიწოდებდით შეთანხმებისაკენ 17 აგვისტოს გაზეთში. ჩვენთან შეთანხმება ხომ ერის ინტერესების ღალატია?..

თვალთმაქცობდით?..

დეპეშები

(პეტ. ტელ. სააგ.)

20—21 აგვისტო.

ინგლისის გაზეთების აზრი რუსეთის შესახებ.

ლონდონი. უიმედოთ ის მდგომარეობა, რომელშიაც ეხლა რუსეთი იმყოფება, ამბობს „დეილი ტელეგრაფი“. ის შეიძლება შევადაროთ იმ ბრმა კაცს, რომელიც ბრმად დაიბადა, უეცრათ თვალები აეხილა და ძალა არ შესწევს დაინახოს, რასაც ხედავს. გაზეთს სწამს, რომ მოსკოვის თათბირის მონაწილენი შეიგნებენ რა საფრთხე მოელის მათ სამშობლოს. „ტაიმსი“ ამბობს, რომ კერენსკი, როგორც კორნილოვი ცდილობს დაამყაროს ჯარში რკინის დისციპლინა. „დეილი ქრონიკლი“ კერენსკის და კორნილოვს ორ ბუმბერაზს უწოდებს, რომლებიც ამაგრებენ რესპუბლიკას და სხვა.

კავკასიის მართვა-გამგეობა.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ კერძო თათბირი გამართა კავკასიის და თურქესტანის შესახებ მართვა-გამგეობის საკითხის გამოსარკვევათ. შეიმუშავეს ამიერ კავკასიის კომიტეტის ძირითადი დებულებანი.

ჯარების შეტაკება.

პეტროგრადი. სიკვდილის ბატალიონის და ლატიშელთა პოლკის შეტაკების შესახებ დაწვრილებით შემდეგს გადმოგვცემენ: შეტაკება მოხდა 12 აგვისტოს. მიზეზი ის იყო, რომ ვიღამაც ქუჩაში საარჩევნო პლაკატი ჩამოგლიჯა. ჯარისკაცებმა პროტესტი განაცხადეს და ამ ნიადაგზე ლატიშელებთან ჩხუბი მოუვიდათ. ერთი-მეორეს თოფები და ყუმბარები დაუშინეს. სიკვდილის ბატალიონს მოუკლეს ორი და დაუჭრეს 15 კაცი. ლატიშელების მხრით დაიჭრა ერთი. ჯარის აღმასრულებელმა კომიტეტმა ამ შეტაკებას ფიცხლავ ბოლო მოუღო და არჩეული კომისია შეუდგა საქმის გამოძიებას და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემას.

ჟანდარმი-პროვოკატორი.

პეტროგრადი. კავკასიის ჯარების სარდალმა პასუხისგებაში მისცა ყოფილი ჟანდარმი, ეხლა ჯარისკაცი გრინევი, რომელიც ჯარს მოუწოდებდა არ დამორჩილებოდნენ მთავრობას, თავი დაენებებინათ ომისთვის და დაძმობილებოდნენ გერმანელებს.

სოფლის მასწავლებლების ჯამაგირების მომატება.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა განათლების სამინისტროს შუამდგომლობა 1918 წლიდან პირველ დაწყებითი სასწავლებლების მასწავლებლებს კიდევ მოემატოს ჯამაგირი თითო თუმანი.

გაფიცვა რკინის გზაზე.

ეკატერინოსლავი. გაფიცვის კომიტეტების წარმომადგენლების ყრილობამ დაადგინა 20 აგვისტოს შესწყვიტოს სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა ეკატერ. რკინის გზის ზოგიერთ ნაწილებში, ხოლო 22 აგვისტოს მოსამსახურეთა და სავაჭრო მატარებლების მიმოსვლა.

ყალბი ცნობა.

პეტროგრადი. ნოვოჩერკასკიდან გადმოცემული ცნობა, თითქოს დროებით მთავრობას ყაზახების დადგენილების წინააღმდეგ შეემუშავებინოს ერობის და სხვა საქალაქო უფლებათა შემოღების საქმე—ტყუილი გამოდგა და ვიღამაც პროვოკაციული მიზნით გაავრცელა.

საავათმყოფოების გადატანა მოსკოვიდან.

მოსკოვი. რადგან სასურსათო კრიზისმა მწვავე ხასიათი მიიღო, ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა გადაიტანოს ქალაქიდან ყველა სამხედრო ჰოსპიტლები წითელი ჯვრის საავათმყოფოები და საშუალო სასწავლებლებში სწავლა მხოლოდ 16 სექტემბრიდან დაიწყოს.

სიკვდილის დასჯის გაუქმების შესახებ რეზოლიუცია.

პეტროგრადი. პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს ჯარისკაცთა და მუშათა სექციამ მიიღო მარტოვის მოხსენებაზე რეზოლიუცია რომლითაც მოითხოვენ დროებითმა მთავრობამ გააუქმოს ფრონტზე სიკვდილით დასჯა.

ყირიმის შესახებ დადგენილება.

იალტა. საზოგადო მოღვაწეთა თათბირმა სცნო რომ ყირიმს როგორც კურორტს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ უნდა ჩამოერთვას ყველა საკაბინეტო საუფლისწულო და მსხვილი კერძო მესაკუთრეთა მიწები, აგრეთვე ყოფილი მეფის მამულები ლივადია, მასსანდრა, ორეანდო, აიდანილ და ერეკლიკი და გადაეცეს იალტის ქალაქის თვითმართველობას კურორტების მოსაწყობათ.

რკინის გზის გაფიცვის წინააღმდეგ.

პეტროგრადი. ამ უკანასკნელ დღეებში რკინის გზის ორგანიზაციებში მოხდა რამდენიმე თათბირი, რომელზედაც განიხილეს ორთქლმავალთა ბრიგადების მოთხოვნები. ამ ორგანიზაციებმა სასტიკათ დაჰგმეს გაფიცვის გამოცხადების მუქარა. სრულიად რუსეთის რკინის გზათა დამფუძნებელი კრება სასტიკ პროტესტს აცხადებს გაფიცვის წინააღმდეგ და მოუწოდებს რკინის გზის ყველა მოსამსახურეს არა თუ მონაწილეობა არ მიიღონ, ყოველივე ღონე იხმარონ რომ გაფიცვა ჩაიშალოს და არ მოხდეს. რკინის გზის მოსამსახურეთა პროფესიონალურ ორგანიზაციების კონფერენცია ემუდარება ამას მემანქანეებს, ნუ შესწყვეტენ რკინის გზის მოძრაობას, რადგან ასეთ დროს გაფიცვა სამშობლოს და რევოლიუციის პირდაპირი ღალატი იქნება. გზათა მინისტრი—ნათქვამია კონფერენციის მიმართვაში—შეგვპირდა ყოველივე საშუალება იხმაროს ჩვენი მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. არ დაუჯეროთ მათ, ვინც გარწმუნებთ, რომ გაფიცვა პროფესიონალურ კავშირთა კონფერენციამ მოაწყო—ეს სიცრუეა. სასტიკი პროტესტი გამოაცხადა გაფიცვის წინააღმდეგ აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის მთავარმა კომიტეტმა. გზათა მინისტრმა მთელ გზებზე დეპეშები დაგზავნა, და ატყობინებს მემანქანეთა ბრიგადებს, რომ მათი მატერიალური მდგომარეობის საკითხი გაირჩევა პლეხანოვის კომისიაში და მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს მის გასაუმჯობესებლად. მინისტრს არ სჯერა, რომ რკინის გზის მოსამსახურეებმა ისეთი საზიზღარი საქმე ჩაიდინონ, რომ სამშობლოს უღალატონ და ასეთ მძიმე დროს დანა ჩასცენ ზურგში. აგრეთვე დეპეშები გაგზავნა მინისტრის ამხანაგმა კისლიაკოვმა. ამ დეპეშაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ გაფიცვა და მისთვის მოწოდება ჩაითვლება სამშობლოს ღალატათ და დამნაშავის წინააღმდეგ მეტათ სასტიკი ზომები იქნება მიღებული.

საერობო არჩევნების დროებითი წესები.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა შემდეგ ნაირათ შესცვალოს საერობო არჩევნების წესები: ყოველ საარჩევნო სიაში იმ წარდგენილ კანდიდატთა სიის ნომერი, რომელსაც ხმას აძლევს ამომრჩეველი. ნება ეძლევათ აგრეთვე ნომერთან ერთად კანდიდატებიც დაასახელონ. შინაგან საქმეთა მინისტრს ნება ეძლევა შეამოკლოს არჩევნების ვადა, თუ ამას მოითხოვს ადგილობრივი პირობები.

რეფორმების საკითხი გერმანიაში.

სტოკჰოლმი. ვოლფის სააგენტოს ატყობინებენ ბერლინიდან, რომ რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიაში განიხილეს საკითხი ცენზურის მოსპობის და კრებების თავისუფლების შესახებ.

ჩხეიძის დეპეშა.

პეტროგრადი. გაიგო რა, რომ შრომის პარტიის კონფერენციამ სტოკჰოლმის კონფერენციის უმცირესობას უარი უთხრა ავტონომიურ წარმომადგენლობაზე, ჩხეიძემ დეპეშა გაუგზავნა დეპუტატების სახელით შრომის პარტიას და სთხოვს შეძლება მისცეს ინგლისელთა უმცირესობას ჰყავდეს თავის წარმომადგენელი კონფერენციაზე.

ფინლანდიის საქმეები.

ჰელსინგფორსი. ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორი პეტროგრადში წავიდა, რადგან განზრახულია მთავრობამ ფინლიანდიის შინაური მართვა-გამგეობის უფლებები გააფართოოს. გენერალ გუბერნატორმა განაცხადა, რომ დათხოვნილ სეიმის საქმე საბოლოოთ გათავდა. პარტიები ახალ არჩევნებისთვის ემზადებიან. ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა ცუდ ხასიათს ღებულობს, გავრცელდა უმუშევრობა და სასურსათო კრიზისი დაიწყო, მაგრამ გენერალ გუბერნატორს იმედი აქვს, გამოსასვლელ გზას მონახავს.

არეულობა.

ციურიხი. ცხოვრების გაძვირებისა და პურზე ბარათების შემოღების გამო დიდი არეულობა მოხდა ციურიხში, ბაზელში, ლოზანაში და ჟენევაში.

გაფიცვის წინააღმდეგ რეზოლიუცია.

ხარკოვი. რკინის გზის მოსამსახურეთა მრავალ რიცხოვანმა კრებამ სასტიკი პროტესტი გამოუცხადა მოსკოვის ბრიგადებს გაფიცვის გამოცხადებისათვის. ასეთ მათ მოწოდებას კრება უწოდებს პროვოკაციას და კონტრ-რევოლიუციონურს.

ვლადიკავკავის რკინის გზის სარაიონო კომიტეტების ყრილობამ სასტიკი პროტესტი გამოუცხადა მემანქანეთა კავშირს გაფიცვისათვის და დაადგინა ყოველივე საშუალება იხმარონ გაფიცვის ჩასაშლელად.

გაგზავნონ თავიანთი მემანქანეები გაფიცულების ადგილებზე. როსტოვის ორთქლმავალთა ბრიგადამაც ასეთივე პროტესტი განაცხადა.

პროტესტი განაცხადა აგრეთვე რიაზან-ურალის რკინის გზის ორთქლმავალთა ბრიგადამაც.

ფრონტის კომიტეტის დეკლარაცია.

მოსკოვი. ფრონტის კომიტეტების წარმომადგენელთა კრებაზე აირჩიეს კომისია, რომელსაც მიანდვეს დეკლარაციის შედგენა სამხედრო მინისტრისთვის წარსადგენათ. რადგან ხმები გავრცელდა კონტრ-რევოლიუციის დაწყების შესახებ, ჯარის კომიტეტები მოუწოდებს დროებით მთავრობას, მიიღოს უსასტიკესი ზომები მის წინააღმდეგ, მთელი რევოლიუციონურ დემოკრატიის დახმარებით ყველგან, სადაც კონტრ-რევოლიუცია თავს წამოჰყოფს, შეუბრალებლათ ჩაახრჩოს.

რკინის გზის გაფიცვის გამო,

პეტროგრადი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ბიუროს კრებაზე განიხილეს საკითხი ორთქლმავალთა ბრიგადების გაფიცვის შესახებ. მოსკოვის და პეტროგრადის გზების გაფიცვის კომიტეტის დელეგატებმა დაუსურათეს კრებას მოსამსახურეთა უწყეო მდგომარეობა და განაცხადეს, რომ იმ წუთიდან, როცა საკითხი ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გადაეცემა შესაძლებლათ სცნობენ გაფიცვის გადადებას. ბიურომ გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც საჭიროთ სცნო დაუყოვნებლივ მოემატოს ჯამაგირები მოსამსახურეებს, შესდგეს საგანგებო კომისია და დაუყოვნებლივ შეიმუშაონ საკითხი.

პროტესტები გაფიცვის წინააღმდეგ.

როსტოვი. სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის მთავარმა კომიტეტმა დეპეშები დაუგზავნა ყველა მოსამსახურეებს, რომლითაც პროტესტს უცხადებს ორთქლმავალის ბრიგადების გაფიცვისთვის და მოუწოდებს ყველას უარჰყონ გაფიცვა და პროტესტი გამოაცხადონ ლიბავა-რომნის რკინის გზის მოსამსახ. კავშირს. კომიტეტმა გაფიცვაზე კატეგორიული წინააღმდეგობა გამოაცხადა.

ეკატერინინსკის რკ. გზ. ყველა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს არ შესწყვიტონ მოძრაობა.

ქალაქის არჩევნები.

პეტროგრადი. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს ცნობით ქალაქის არჩევნებში არხანგელსკში პირველათ გავიდა სოციალისტური ბლოკი, მეორეთ კადეტები; ეკატერინოსლავში პირველათ ს.-რევოლიუციონერები, მეორეთ ბოლშევიკები; კიშინევში ს.-დემოკ. და ს.-რევ. ბლოკი, მეორეთ სახალხო სოც. და ბუნდი; ქუთაისში—პირველათ ს.-დემოკრატები, მეორეთ ს.-რევოლ. მოგილევში—პირველათ სოციალისტ. ბლოკი, მეორეთ კადეტები; პერმში პირველათ ს.-რევოლ., მეორეთ მენშევიკთა ბლოკი; რიგაში—პირველათ ბოლშევიკები, მეორეთ ნემეცთა სია; სიმბირსკში—პირველათ ს.-რევოლ. და შრომის ჯგუფის ბლოკი, მეორე ს.-დემოკრ.

ზომები ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ.

პეტროგრადი. სამხედრო სამინისტროს გამგე სავინკოს, კამენეცკის და უშიცკის მაზრების მთავრობებს დეპეშა გაუგზავნა მიიღონ სასტიკი ზომები გამხეცებულ ჯარების მიერ ძარცვა-გლეჯის და და ძალადობის წინააღმდეგ.

თანამდებობიდან გადადგომა.

სტოკჰოლმი. ვოლფის სააგენტოს ატყობინებენ, რომ პოლონეთის სახელმწიფო საბჭომ გადასწყვიტა თანამდებობიდან გადადგეს და საქმეები განსაკუთრებულ კომისიას გადასცეს.

სუხომლინოვის საქმე.

პეტროგრადი. სასამართლო შეეკითხა სამ მოწმეს სახელმწიფო დუმის წევრებს როძიანკოს, მილიუკოვს და გუჩკოვს. სამივე მოწმემ დაწვრილებით დაახასიათა, თუ რა პიროვნება იყო ყოფილი სამხედრო მინისტრი სუხომლინოვი. მთელი მისი მოქმედება ომის დროს იმისკენ იყო მიქცეული, რომ თვით ენახა სარგებლობა და სხვა ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. სამხედრო იარაღების და მასალების დამზადების საქმეს ცნობილ ფირმებს არ აძლევდა, არამედ ვიღაც საეჭვო პირებს. თვითეულმა მათგანმა ბევრჯერ მიაგონა სუხომლინოვს, რომ ის უვარგისი იყო ამ თანამდებობაზე და გადამდგარიყო, მაგრამ ის ყურსაც არ იბერტყავდა და განაგრძობდა თავის ბნელ საქმეს.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 19 აგვისტო. ვილენის მიმართულებით, სმორგონ-კრევოს მიდამოებში გაცხარებული სროლა დაიწყო.

რუმინიის ფრონტზე, ფოკშანის მიმართულებით. ირეშტის ჩრდილო დასავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი. 20 აგვისტო. ხანგრძლივ საარტილერიო სროლის შემდეგ გერმანიის ჯარმა იერიშები მოიტანა მდ. დვინაზე, იკსკიულის რაიონში გადმოლახა და კულფერგრამერი დაიკავეს. შემდეგ აქედან ჩრდილოეთისაკენ დაიწყეს იერიშები—ბრძოლა გრძელდება. აქ ჩვენი ჯარების მიერ მიტანილი კონტრ-იერიშები უშედეგო გამოდგა.

მტერმა იერიშები მოიტანა მიტავის გზატკეცილის რაიონშიაც.

კოველის მიმართულებით დაიწყეს იერიშების მოტანა, მაგრამ აქ ჩვენმა ჯარმა მტრის იერიშები მოიგერია. ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით მოწინააღმდეგემ სასტიკ იერიშების შემდეგ ჩვენი სანგრები დაიკავა, მაგრამ მალე კონტრ-იერიშები მივიტანეთ და დაკავებულ სანგრებიდან მტერი გავრეკეთ.

რუმინიის ფრონტზე, ფოკშანის მიმართულებით, ირეშტის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. იერიშები მოვიგერიეთ მარაილოვის მიმართულებით, მდ. ბუზეუს შესართავთან.

კავკასიის ფრონტზე მოწინავე რაზმები იბრძვიან.

პარიზი. 18 აგვისტო. მთელი დღის განმავლობაში ბრძოლაში ქვეითი ჯარს მონაწილეობა არ მიუღია. მდ. მაასის მარჯვენა ნაპირებთან, სერნის რაიონში საარტილერიო სროლამ მკაცრი ხასიათი მიიღო.

პარიზი. 18 აგვისტო. სერნის აღმოსავლეთით გერმანიის მზვერავთა რაზმების იერიშები მოვიგერიეთ. მდ. მაასის ორივე ნაპირების მიდამოებში საარტილერიო სროლაა.

ელზასში მტერმა განიზრახა გარტმან სვეილერკოფს მოულოდნელათ დასცემოდა, მაგრამ მათ თავიანთი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს.

პარიზი. 19 აგვისტო. ბელგიაში—დიგრასტენისა და დაკნოოტეს რაიონებში სასტიკი საარტილერიო სროლა სწარმოებს. მდ. ენის ფრონტზე, იურტიმიზას ჩრდილო დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მტრის პოზიციებზე იერიშები მიიტანა, 300 მეტრით წინ წავიწიეთ. აქ მტრის კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 150 მეომარი, მათ შორის 5 აფიცერი, ხოლო [illegible] ტყის-მერქვევლი. კარმინის [illegible] ჯარმა 200 მეტრის მანძილზე წინ წაიწია, 12 ჯარისკაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ.

ლონდონი. 18 აგვისტო. საფრანგეთის ფრონტზე ცუდი ამინდია. ორლეანის ჩრდილოეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

ახალი ამბები

◆ **პურის ბარათებით გაყიდვა** დაიწყება მხოლოდ 1 სექტემბრიდან, ვინაიდან საუბნო სასურსათო კომიტეტებმა ვერ მოასწრეს ბარათების დარიგება.

◆ **ქალაქის გამგეობაში.** უკვე მოხდა საქმეების განაწილება გამგეობის წევრთა შორის. პირველ ადმინისტრატიულ განყოფილების გამგეთ დაინიშნა გ. ს. პირუმოვი, მეორე საფინანსო განყოფილების—მ. სმირნოვი, მესამე სამშენებლო და ქალაქის მოწყობის განყ.—ი. ბესელიძე, მეოთხე სასურსათო განყ.—ჰ. აზატიანი, მეხუთე საექიმო-სანიტარული განყ.—ა. კალიუჟნი, მეექვსე სახალხო განათლების განყ.—გ. კონიევი, მეშვიდე შრომისა და საზოგადო დახმარების განყ. დროებით ჩააბარეს—ჰ. აზატიანს და მერვე ქალაქის დაწესებულებათა განყ.—ი. ბესელიძე. გამგეობის სხდომები ხდება ყოველ დღე, ნაშუადღევის 2 საათზე.

◆ **ტრამვაის მოსამსახურეებმა** მიმართეს ქალაქის გამგეობას თხოვნით ჯამაგირების გადიდების შესახებ.

◆ **გაფიცვა.** 18 აგვისტოს ეკონომიურ ნიადაგზე გაფიცვა გამოაცხადეს კავკასიის ამხანაგობის აფთიაქის მაღაზიებში მომუშავეებმა.

◆ **ქალაქის გამგეობამ** დაადგინა დაჩქარებით მოიწვიოს სამი თარჯიმანი ქართულ, სომხურ და თათრულ ენებისა. თითო თარჯიმანს დაენიშნება 200 მ. თვეში.

◆ **ქალაქის გამგეობის წევრები** მთხოვნელებს იღებენ ყოველ დღე 12—2 ს. მდე.

◆ **სახალხო მასწავლებელთა შორის.** 20 აგვისტოს თფილისში შესდგა თფილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა კრება. კრებას დაესწრო 120-ამდე მასწავლებელი. დაესწრო აგრეთვე სამოსწავლო ოლქის კომისარიატის წევრი ამხ. ლევან ნათაძე. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ვ. მურჯანაძე. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ს. ჯიხაიშში ნაძირალების მიერ ვერაგულათ მოკლულ მასწავლებელ ი. ქუთათელაძის ხსოვნას, როგორც ვიცით, სამოსწავლო ოლქის კომისარიატმა ჩამოართვა სახალხო მასწავლებელთა ყრილობას სახალხო ინსპექტორის არჩევის უფლება და ეს უფლება გადავიდა თვით კომისარიატისა და საბჭოს ხელში. კრებამ პროტესტი განაცხადა ამ დადგენილების წინააღმდეგ, მაგრამ ამხ. ლ. ნათაძემ თავის სიტყვაში დაამტკიცა ამ დადგენილების აუცილებლობა და მიზან-შეწონილობა. ამ კრებაზედვე აირჩიეს სახალხო ინსპექტორებათ შემდეგი პირები: პ. ჩარექიშვილი, ვ. ჯაფარიძე, ნ. შიუკაშვილი, გ. ჭუმბურიძე; კანდიდატათ—ი. გომელაური.

◆ **თფილისის სასამართლო პალატაში** მომხდარ ბოროტ-მოქმედებათა და უფროსი თავმჯდომარე ლაგოდას გაძევების გამო დროებითმა მთავრობამ თფილისში გამოგზავნა სენატორი ა. ი. რუძე, რევიზიის მოსახდენათ. რევიზია ორ თვეს გაგრძელდება. პეტროგრადში დაბრუნებისას რუძემ მოხსენება გააკეთა იუსტიციის სამინისტროში. როგორც ირკვევა, თფილისის სასამართლო პალატის საკრებულოს შემადგენლობის წინააღმდეგ აღძრული იქნება საჩივარი დისციპლინარულის წესით.

◆ **მეცხვარეთა ყრილობა.** 20 აგვისტოს თფილისში გაიხსნა ამიერ კავკასიის მეცხვარეთა ყრილობა. გამოცხადდნენ მხოლოდ თფილისის გუბერნიიდან 35 კაცი და დაღესტანის ოლქიდან—1, ყრილობას დაესწრნენ აგრეთვე მატყლის მრეწველობის წარმომადგენელნი. თავმჯდომარეთ აირჩიეს მ. ვერმიშევი. ყრილობა შემდეგი გარემოებით გამოწვეული: 22 აპრილს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა დააწესა მატყლზე მტკიცე ფასები, რომლის თანახმათ გარეცხულის მატყლი უნდა გაყიდული ფუთი 20 მანეთათ, შემოდგომის კი—26 მ. ამასთანავე მატყლის ყიდვის უფლება მიეცა მხოლოდ იმ ფაბრიკებს, რომლებიც თავდაცვაზე მუშაობენ. ამ დადგენილებას დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია მეცხვარეთა შორის. გარეცხულზე დაწესებული მატყლი სულ არ გაუყიდიათ, შეუნახავთ. ყრილობამ იქონია ამის შესახებ მსჯელობა და გამოითქვა სურვილი გაუქმებულ იქნას მატყლზე მტკიცე ფასები.

◆ **ქურდობა.** 17 აგვისტოს გაქურდეს ხიდზე მოსამსახურე მ. კალანდაძე. წაიღეს ტანისამოსი, ფეხსაცმელები, ფულით 23 მან. და 35 მ. ბარათი.

◆ **გაზეთის შეწყვეტა.** ფულის მიუღებლობის გამო დღეს უკანასკნელათ ეგზავნება გაზეთები: ოზურგეთში—ღლონტს, ბაქოში—ს. დ. ორგანიზაციას, ბაზეში, ჯიხაიშში და ცხემლის ხიდზე.

◆ **სურსათი.** 19, 20 და 21 აგვისტოს თფ. შემოიტანეს 38 ვაგონი ფქვილი, 3 ვაგონი ქართოფილი და 1 ვაგონი მარილი.

◆ **შეცდომის გასწორება.** „ერთობის“ კვირის ნომერში ოლია ბერეჟიანის სამგლოვიარო წერილში შეცდომით სწერია: საბა ლევანტის

ძე ჩიჯოგიძე. უნდა იყოს საზა და სხ.

კრებები და მიტინგები.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, სასახლეში შესდგება მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა კრება. დღის წესრიგი: 1) იურიდიული დახმარების მოწყობა; 2) ფაბრიკის ინსპექტორების შესახებ; 3) აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა ახალი არჩევნები; 4) საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის წევრთა არჩევნები; 5) კომისიის წევრთა არჩევნები.

— დღეს, საღამოს 5 ს. ნაძალადევის თეატრში დანიშნულია თფილისის საქონლის სადგურის რ. ს. დ. მ. პ. წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, მეორე სამომრიგებლო განყოფილების შენობაში (მუხრანის ქ.) დანიშნულია მე-4 სამილიციო უბანში მცხოვრებ რ. ს. დ. მ. პ. წევრთა კრება. სთხოვენ ამხანაგებს არ დაიგვიანონ.

— ხვალ, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია საგანგებო კრება მე 2 რაიონის კოლექტივის წევრებისა რ. ს. დ. მ. პ. აღნიშნულ დროს კოლექტივის ყველა წევრები უეჭველად უნდა გამოცხადდეს. ვინც წინა ორ კრებაზე არ მოსულა და ამ კრებასაც არ დაესწრება, ის ყოველ მიზეზის გარეშე, გამორიცხულ იქნება კოლექტივიდან, როგორც უსარგებლო წევრი.

— დღეს, საღამოს 7 საათზე შესდგება მორიგი კრება პროფესიონალურ კავშირთა (ცენტრალურ ბიუროს წევრებისა. წევრებს ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ და უეჭველად გამოცხადდენ კრებაზე. დღიური წესრიგი: 1) პროფესიონალური ორგანო; 2) საოლქო კონფერენციის მოწვევა და სხ.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში.

(20 აგვისტოს მორიგი სხდომა).

კრებას თავმჯდომარეობს ამხ. კუზნეცოვი. დღის წესრიგში აღნიშნულია შემდეგი საკითხები: 1. დამფუძნებელი კრება; 2. სტოკჰოლმის კონფერენცია; 3. სასურსათო საკითხი; 4. რევოლუციის ნახევარ წლის თავი და 5. მიმდინარე საკითხები. შემოდის წინადადება შეტანილ იქნეს დღიურ წესრიგში მოსკოვის თათბირი, მაგრამ ამხ. იდაშკინის განმარტების თანახმად, რომ ამ საკითხის უფრო დალაგებით განხილვა შეიძლება მოსკოვიდან დელეგატების დაბრუნების შემდეგ, კრება უარყოფს წინადადებას. წესრიგი დამტკიცდა უცვლელად.

დამფუძნებელი კრება.

დამფუძნებელი კრების შესახებ მოხსენებას აკეთებს მ. დ. პოპოვი.

„წარსული არ დაბრუნდება“ მე, რომელსაც მილაპარაკნია სახელმწიფოს პოლიტიკურს და ეკონომიურს მდგომარეობაზე, არას დროს არ დამისურათებია იგი მიმზიდველად. რუსეთის რევოლუციას აურიცხელი დაბრკოლებები გადაეღობა წინ. ბევრის შეგნებულმა და არა შეგნებულმა მოქმედებამ ბევრჯერ ჩააყენა რევოლუცია საფრთხეში და თვალ წინ ძველი რეჟიმის აჩრდილი დაგვიყენა. დღევანდელი ობიექტური პირობები კი უფლებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ წარსული არ დაბრუნდება! მთავარი საფრთხე, რასაც შეუძლია რევოლუცია დაამარცხოს, ეს ფრონტის გატეხაა. მაშინ ჩემი მტკიცებაც თავით დადგებოდა. მაგრამ ის გარემოება, რომ დემოკრატიამ უკვე შექმნა მძლავრი ორგანიზაციები, მოიპოვა უფლება, იყოლიოს მილიცია, რომ დემოკრატიამ უმთავრეს შემთხვევაში ჩაიგდო ხელში ერობები, თვითმართველობები, სათავეში ჩაუდგა ადმინისტრაციას, რომ დაბოლოს, მართვა გამგეობის სათავეში ჩვენივე ამხანაგები არიან—ყველა ეს ობიექტურად ქმნის გარანტიას, რომ წარსული არას დროს არ დაბრუნდება!..

რას მოელის დემოკრატია დამფუძნებელ კრებიდან? უპირველესი მიზანი, რომლის განხორციელებასაც რევ. დემოკრატია ცდილობს დამფ. კრების საშუალებით, არის დემოკრატიული რესპუბლიკის დამკვიდრება რუსეთში. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამის გარანტია სავსებით ხელთა გვაქვს. საზოგადოების ნაწილი სრულებითაც არ თანაუგრძნობს ამ იდეას. ჩვენ არა გვაქვს არავითარი გარანტია იმისთვის, რომ არ შეიქნება მძლავრი მიდრეკილება კონსტიტუციონურ მონარქიისადმი, რაც დემოკრატიას ვერას დროს ვერ დააკმაყოფილებს. ასეთ შემთხვევას რომ შესაფერად მომზადებული შევხვდეთ, რევოლუციონურმა ორგანიზაციებმა საზოგადოთ და საბჭოებმა კერძოთ უნდა აწარმოვონ ფართო მუშაობა, რათა დემოკრატიულ მასაში გამტკიცდეს ინტერესების ნათელი შეგნება. მხოლოდ მასის ასეთი შეგნებით შევქმნით ჩვენ ისეთ მდგომარეობას, რომ დამფუძნებელ კრებაში უმრავლესობა ჩვენი იქნება. დემოკრატიული, სოციალისტური უმრავლესობა დამ. კრებაში—ეს აუცილებელი პირობაა დემოკრატიულ რესპუბლიკის დასამკვიდრებლად. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება აგრეთვე სხვა მრავალგვარ კარდინალურ კითხვების, როგორიცაა: აგრარული, ჯარის შესახებ, ბეჭდვის, სიტყვის, სინიდისის თავისუფლება და სხვა, ისე გადაჭრა, როგორც ამას ნამდვილი დემოკრატიის ინტერესები მოითხოვს. მაგ., ჯარის საკითხის არა სასურველად გადაჭრას მოჰყვება ის, რომ დემოკრატიის წინ მუდამ აღუზული იქნება ომიანობის შიში. მუდმივი ჯარი, გარდა იმისა, რომ იწვევს კოლოსალურ ხარჯებს, შესაძლებელია, ბრმა იარაღათ გახდეს ავანტიურისტების ხელში. სახალხო მილიცია კი—იგივე შეიარაღებული ხალხი — ავანტიურის ქსელში არას დროს არ გაეხვევა. დემოკრატიის ინტერესია მუდმივი ჯარის მაგიერათ სახალხო მილიცია დაწესდეს ისე, როგორც მაგ. შვეიცარიაშია. ამისათვის კი საჭიროა, ვიმეორებ, შეგნება და ისევ შეგნება... როგორც ხედავთ, დამფ. კრების წინ მრავალი პირველ ხარისხოვანი საკითხებია გადასაჭრელი. ამის შემდეგ ადვილი ასახსნელია ის ფხიზელი ყურადღება, რომელიც დამფ. კრებისკენაა მიქცეული. დამფ. კრება 30 სექტ. უნდა შემდგარიყო. ახლა იგი გადადებულია 12 ნოემბრამდის. რასაკვირველია ეს არ არის კარგი დემოკრატიისათვის, მაგრამ სხვაგვარათ არ შეიძლებოდა. ჩვენ უნდა შევურიგდეთ მას, რადგან ეს ტექნიკურ დაბრკოლებათა მიერ არის გამოწვეული. მით უმეტეს, რომ ამ დაბრკოლებებზე მიგვითითებენ ჩვენივე ამხანაგები...

საარჩევნო კომისიები. ჩვენ ვიცით ბევრი დამფუძნებელი კრებები, რომელთაც ხალხისათვის არაფერი მოუტანიათ, ფიქციათ ქცეულან. ჩვენი დამფ. კრება ნამდვილი დემოკრატიული უნდა იქნეს. ამისთვის საჭიროა წინასწარი მომზადება. საჭიროა მასალები შეგროვდეს, საჭიროა ფართო მასსა პოლიტიკურათ მომწიფდეს. ჩვენ უკვე შევადგინეთ ამ მიზნით საგუბერნიო საარჩევნო კომისია, სადაც წევრებათ ჩვენი ამხანაგები შედიან. შევადგინეთ სამაზრო კომისიები, რომლებიც უკვე აწარმოებენ დადებით მუშაობას: ახდენენ აღწერას და სხვა. თიანეთის მაზრაში, მაგ. უკვე დათავებულია აღწერა.

დიაღ, მთელ სახელმწიფოში საჭიროა ფართო დადებითი მუშაობა, რომ კონტრ რევოლუციონური ძალები შესაფერათ აილაგმოს. მოსკოვის თათბირზე ჩვენ შესაფერი პასუხი გავეცით იმპერიალისტურ ბურჟუაზიას, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ კონტრ-რევოლუციისაგან უზრუნველყოფილნი ვართ. რომ ფართო დემოკრატია დავაინტერესოთ რევოლუციაში, საჭიროა სასურსათო საკითხის მოწესრიგება; ერთი მიზეზთაგანი სასურსათო საკითხის სიმწვავისა არის წარმოების ნაყოფიერების დაცემა. ამაში დანაშაული მიუძღვით ფაბრიკა-ქარხნების პატრონებს, მარა წილი მუშებსაც უდევს. ამ საკითხის მოსაწესრიგებლათაც საჭიროა მასაში შეგნების შეტანა. თუ ყველა ამას ჩვენ შევძლებთ, ჩვენი ვალიც მოხდილი იქნება.

მოხსენების გათავების შემდეგ კრებამ საჭიროთ სცნო მეორე საკითხის, როგორც ამაზე დაკავშირებული, შესახებაც მოხსენების მოსმენა და კამათის მხოლოდ შემდეგ გახსნა.

სტოკჰოლმის კონფერენცია.

მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. იდაშკინი.

ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის რეზოლუცია. ჩვენ მივიღეთ ც. ა. კ. შემდეგი შინაარსის რეზოლუცია: ც. ა. კ. სრულის კმაყოფილებით ეგებება საფრანგეთის და ინგლისის მუშათა დემოკრატიულ ზავის სასარგებლოთ საერთაშორისო გზაზე გამოსვლას და გამოსთქვამს თავის რწმენას, რომ ვერავითარი დაბრკოლება ვერ შეუშლის ხელს სტოკ. სოც. კონფერენციის დანიშნულ დროზე მოწვევას. იმპერიალისტები, რომლებსაც მხოლოდ ძალადობით შეუძლიათ საერთაშორისო პოლიტიკის სადაო საკითხების გადაჭრა და ყოველთვის წინააღმდეგნი არიან ამ კონფერენციისა, ინტერნაციონალის აღდგენის, ეხლა დაინახავენ, როგორი მძლავრი იარაღია მშვიდობიანობის დასაცავათ საერთაშორისო მუშათა კლასის შეერთება-შეკავშირება. ც. ა. კ. მოუწოდებს ყველა საბჭოებს, ყველა რევოლ. დემოკრ. ორგანიზაციებს თავიანთი რეზოლუციებით მხარი დაუჭირონ მოკავშირე ქვეყნების მუშათა გამოსვლას. დეე, ევროპის მუშებმა იცოდნენ, რომ რუსეთის დემოკრატია მათთან არის. ამასთანავე რუსეთის დემოკრატია ერთ წუთშიაც არ დაივიწყებს იმ პრინციპებს, რომელიც რუსეთის რევოლუციამ წამოაყენა.

„გაწვდილი ხელი“. რუსეთის რევოლუციონურმა დემოკრატიამ ძმური ხელი გაუწოდა საერთაშორისო დემოკრატიას და მოუწოდა მას გამოსულიყო გამანადგურებელ ომის წინააღმდეგ. დღემდის ეს ხელი ჰაერში ეკიდა. დღეს, როგორც დეპეშიდან სჩანს, ჩვენ მხურვალეთ გვართმევენ ხელს საფრანგეთისა და ინგლისის მუშათა კლასი; ჩვენ მარტონი არა ვართ! ჩვენი პოზიცია სწორი გამოდგა. მხოლოდ სტოკჰოლმის კონფერენციას შეუძლია საბოლოოთ გადასჭრას ზავის საკითხი. რევოლუცია და ომი ერთი მეორეს ვერ ურიგდებიან: ომი უარყოფს რევოლუციას და პირიქით. უნდა ჩამოვარდეს ზავი. 3—5 ივლ. შემდეგ დღიურ ლოზუნგათ რევოლუციის დაცვა გადაიქცა ეს კი ომის ლიკვიდაციით შეიძლება.

ჩვენი მტრები. ჩვენ სამი უმთავრესი მტერი გვყავს, რომელთაც საერთო სახელით კონტრ-რევოლუცია ეწოდება. ეს არის: მონარქისტები, იმპერიალისტური ბურჟუაზია და „ობივატელი“. პირველი მტერი ყველაზე უწინ გამოვიდა, შემდეგ რევოლუციას უღალატა მსხვილმა ბურჟუაზიამ და ბოლოს ამათ შეუერთდათ „ობივატელები“. ყველაზე უფრო საშიში ეს უკანასკნელი მტერია. ის რიცხვით ბევრია.

მისთვის საინტერესო არ არის პოლიტიკური გამარჯვება, არ ესმის ამის მნიშვნელობა; მას უნდა მხოლოდ კუჭი გატენილი ქონდეს. ობივატელთა ინსტიქტებმა იჩინეს თავი მოსკოვში, თათბირის მოწვევის დროს. ჩვენი ვალია ვებრძოლოთ ობივატელობას. ობივატელებში პოლიტიკური შეგნება შევიტანოთ. ეს მშვიდობიანობის დროს შეიძლება... ევროპის მუშები ჩვენთანაა, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ისინი ჩვენი გულისთვის კი არ გამოსულან, არამედ იმ ლოზუნგებისათვის, რომელიც ჩვენმა რევოლუციამ წამოაყენა.

სტოკჰოლმის კონფ. მნიშვნელობა. სტ. კონფერენციას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. იგი გახდება სააგიტაციო დასაწყისათ დას. ევრ. მუშათა მასაში. დღემდის იგი არ იყო ხელმძღვანელი ორგანო. სტ. კონ. ასეთად შეიქნება და იმედი უნდა ვიქონიოთ ევროპის მუშათა კლასი ამის შემდეგ დაიწყებს აქტიურ მოქმედებას. ეხლანდელი სოციალისტ. კონფერენცია ყველა იმპერიალისტების წინააღმდეგ ომის დასაწყისია. ეს კი აუცილებელი პირობაა საერთაშორისო მშვიდობიანობისათვის, რაც სოციალიზმის შესავალია. ჩვენი კონფერენციისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ხელს შეუშლის საერთო დემოკრატიის საქმეს.

მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი, ორატორების დიდი უმრავლესობა მხარს უჭერენ მომხსენებლებს.

ბოლშევიკები. ამხ. ბოლშევიკებმა, როგორც ყოველთვის, ეხლაც შეურიგებელი პოზიცია დაიჭირეს. ლაპარაკობს ამხ. ბოლშევიკი კუზნეცოვი. ქვეყანა საშიშ მდგომარეობაშია, აწყებს ორატორი. ამისი მიზეზი ომია. რა გზით შეიძლება ზავის ჩამოგდება? ჩვენ გვეუბნებიან, რომ სტოკჰოლმის კონფერენცია დაგვაახლოვებს ზავსო. მართალია ეს?—არა და აი რატომ. იქ იკრიბებიან ყველა ქვეყნიდან არა ნამდვილი რევოლუციონერები, არამედ ე. წ. „ობორონცები“. ამათი პოლიტიკა კი ჩვენ კარგათ ვიცით რუსეთის ცხოვრებიდან. ისინი მედგრათ იცავენ ბურჟუაზიასთან შერიგების პოლიტიკას. ამ პოლიტიკის მეოხებით რუსეთი თანდათან მარჯვნივ მიიმართება და არა მარცხნივ. მათი პოლიტიკის მეოხებით დემოკრატია გაკოტრდა. ამის მაგალითი თუ გინდა, მოსკოვის თათბირიცაა, სადაც ცენ. კორნილოვმა განაცხადა, რომ იგი სიკვდილით დასჯას ხმარობს არა მარტო პიროვნებების წინააღმდეგ, არამედ მთელი პოლკების წინააღმდეგაც... ეს კი კონტრ-რევოლუციონერების ძალას ნიშნავს. აი ეს ვაჟბატონები იქნებიან კონფერენციაზე. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ სტოკჰოლმის კონფერენციისა, ვინაიდან იგი დაგვაშორებს ზავს. გვეუბნებიან: იქ ყველა იმპერიალისტების წინააღმდეგ ომი დაიწყებაო. აქ კი—რუსეთში ეს ბურჟუები მთავრობაში სხდიან. ყველაზე უწინ ჩვენ ომი ჩვენი ბურჟუაზიის წინააღმდეგ უნდა დავიწყოთ!..

ამხ. ი. იდაშკინი, ამხ. კუზნეცოვმა აქ განაცხადა, რომ სოციალისტების უმცირესობა არ ესწრება კონფერენციასო. რატომ? იმიტომ, რომ ისინი საჭიროთ და უფრო მიზანშეწონილათ მიაჩნიათ აქაურ ბურჟუაზიასთან ბრძოლაო. მე გეკითხებით თქვენ, რომელ ბრძოლაზე ლაპარაკობთ?

რუსეთის რევოლუციონური დემოკრატია უკვე აწარმოებს ბრძოლას კონტრ რევოლუციურ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ან, შეიძლება, ბოლშევიკებს ისე უნდათ ბურჟუაზიასთან ბრძოლა, როგორც ეს 3—5 ივლისს მოხდა აქ ეხლა არ ლაპარაკობენ: მთელი ძალა-უფლება მ. და ჯ.-ქ. დეპ. საბჭოსო. ეს ადვილი გასაგებია,—იგი მოძველდა, ბოლშევიკების სიცხადე აღიარეს, რომ საბჭოები წვრილ ბურჟუაზიულ შემადგენლობისაა და ეხლა პროლეტარიატის დიქტატურაზე დაიწყეს ლაპარაკი, აწ მათი ლოზუნგი ასეთია „ძირს ბურჟუაზიას“! ისინი განმარტოვდნენ რევოლუციურ დემოკრატიისაგან და, მაშასადამე, არ შეუძლიათ გლეხობას დაეყრდნონ. ამის შემდეგ, როგორ შეუძლიათ მათ მთელი რევოლუციურ დემოკრატიის სახელით ილაპარაკონ?!. ჩვენ ერთხელ კიდევ ვაცხადებთ რომ ეს გზა ნიშნავს რევოლუციურ დისციპლინის სრულ არევ-დარევას... ერთად ერთი სწორი გზა—ეს კოალიციონური პრინციპია, რომელიც ცხოველმყოფელი გამოდგა და რომელზედაც ჩვენ ვდგევართ...

წამოყენებულ იქნა ორი რეზოლუცია: ამხ. იდაშკინისა და ბოლშევიკების. ხმის დიდი უმეტესობით კრებამ მიიღო პირველი.

რეზოლუცია.

მოისმინა რა ინგლისის და საფრანგეთის მუშების სტოკჰოლმის კონფერენ. მოწოდების შესახებ ცენტრ. აღმ. კომიტეტის ცნობა თფ. მ. და ჯ. დეპ. საბჭო სალამს უძღვნის თავის შორეულ ამხანაგებს, რომ ისინი ამით იცავენ რუსეთის რევოლუც. დემოკ. ხელმძღვანელთა პოზიციას, რომელნიც სტოკჰოლმის კონფერენციაზე ამყარებენ საერთაშორისო ომის მალე დაბოლოვებას უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ხალხთა თვითგამორკვევის საფუძველზე დამყარებულის ჩამოგდების იმედს. თფ. მ. და ჯ.-ქ. დეპუტატ. საბჭო დარწმუნებულია, რომ სტოკჰოლმის კონფერენციის მოწვევა ხელს შეუწყობს დასავ. ევროპის დემოკრატიაში რევოლუციონურ მოძრაობის გაღვივებას და რუს. დიდ რევოლუციის მოპოვებათა საბოლოო განმტკიცებას.

ბოლშევიკები თავიანთ რეზოლუციაში დელეგატების გაგზავნის წინააღმდეგნი არიან, რადგანაც, მათის აზრით, ობორონცების კონფერენცია დაასამარებს ნამდვილ ინტერნაციონალს და ზავს დაგვაშორებსო.

რიგ გარეშე განცხადებაში ამხ. ი. იდაშკინი მოუწოდებს კრებას, პატივი სცეს მორიგ მომხსენებელს ნ. ელიავას, როგორც ქალაქის თავს-სოციალისტს. კრება დაუსრულებელის ტაშის ცემით და ფეხზე ადგომით ხვდება ამხ. ნ. ზ. ელიავას.

ამხ. ნიკო ელიავას პასუხი.

ეს პატივის ცემა. მე არ მეკუთვნის, ეს იმ გამარჯვების პატივის ცემაა, რომელიც დემოკრატიამ იგემა საქალაქო არჩევნებში... მე ვგრძნობ ჩემი მოვალეობას და რაც ძალი და ღონე მექნება, ვეცდები გავამართლო დემოკრატიის ინტერესები... ჩემი საქციელისათვის ამხ. ბოლშევიკებმა მე „ყოფილი“ ამხანაგი მიწოდეს... მე არას დროს არ ვაწარმოებდი ისეთ ტაქტიკას, როგორსაც დღეს ბოლშევიკები აწარმოებენ. მე ყოველთვის ვიცავდი პარტიულ დისციპლინას და შეძლების დაგვარათ ვმუშაობდი პარტიაში. 1905 წ. ბოლშევიკებმა ბოიკოტი გამოუცხადეს დუმას. მე კი მენშევიკების სიით გავედი თფილისის გუბერნიის ამომრჩევლათ. ასევე 1907 წელში მენშევიკებისავე სიით გავედი ქალაქის საბჭოში, სადაც ორი წელი ვმუშაობდი. და დღესაც ამ პოზიციას ვიცავ. მე მწამს, რომ პარტიულ დისციპლინის გარეშე არ შეიძლება გამარჯვება!.. (მხურვალე ტაშის ცემა).

სასურსათო საქმე.

სასურსათო საქმეზე მოხსენებას აკეთებს საგუბერნიო სას. კომიტეტის თავმჯდომარე და ახალი ქალაქის თავი ამხ. ნ. ელიავა.

მომხსენებელი შეეხო განსაკუთრებით ამიერ კავკასიას და კრებას გააცნო, თუ როგორია დაყენებული აქ სასურსათო საქმე. უმთავრესი წყარო ამიერ კავკასიისათვის ჩრდილოეთ კავკასია იყო,—ამბობს მომხსენებელი. ეს მაშინ, როდესაც რუსეთის სხვა ნაწილებს ნოყიერ ნიადაგიანი შიდა გუბერნიების მოსავალი აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. ეხლა პურის შემოტანა ჩვენში შემცირდა, ვინაიდან ჩრდილო კავკ. პური სხვაგან გაიტანეს შემოტანილი პური მარტო ქალაქის მცხოვრებთაც არ დააკმაყოფილებდა. ამიტომ ჩვენ ყურადღება მივაქციეთ აქავე არსებულ ზოგიერთ შემოსავლიან ადგილებს, რომ აქაური შემოსავალი მაინც წესრიგს დავუმორჩილოთ, და ამით გამწვავებულ სასურსათო საკითხს რაიმე უშველოთ.

შემდეგის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საგუბერნიო სას. კომიტეტს უკვე მიუღია ზოგიერთი ზომები სურსათის მოსაწესრიგებლათ. მაგ. აღკრძალულია პურის გუბერნიიდან გაზიდვა და გადაწყვეტილია შესყიდვა, რომ მერე განაწილდეს. ხშირად ხმარობენ ხოლმე სუროგატს, ქალაქში შემოღებული იქნება პურის ბარათებით გაყიდვა და სხვადასხვა. საერთოთ მოხსენებას საქმიანი ხასიათი ქონდა და ამიტომ შინაარსიანიც იყო. სასურსათო კრიზისი აუტანელია, მაგრამ თუ კი რევოლუციონური დემოკრატია თვითონ მიიღებს მონაწილეობას სასურსათო საქმის მოწესრიგებაში, თუ იგი საქმის მცოდნე პირებს ჩააყენებს სათავეში, იმ შემთხვევაში, კატასტროფა არაა აუცილებელი. „მდგომარეობა სერიოზულია, მეტათ მძიმე, მაგრამ არა გამოუვალი, თუ კი დემოკრატია ენერგიულად მოკიდებს ამ საქმეს ხელსო“—დაბოლოვა მომხსენებელმა.

რევოლუციის დღესასწაული.

რევოლუციის დღესასწაულზე აკეთებს მოხსენებას დღესასწაულის მომწყობი კომისიის წევრი. რევოლუციის ნახ. წლის თავზე 27—28 აგვისტოს უნდა მოეწყოს დღესასწაული. გაიმართება ნაძალადევში „თავისუფლების მოედანზე“ დიდი მიტინგი, სადაც მასა გაეცნობა რევოლუციის მსვლელობას და მის დღევანდელ მდგომარეობას და აგრეთვე გაიმართება შემოწირულებათა შეგროვება რევოლუციონურ ორგანიზაციების სასარგებლოთ.

ხურდა.

სრულიად რუსეთის მუშათა კოოპერატივების პირველი ყრილობა.

მუშათა კოოპერატივების დამოკიდებულება პარტიასთან.

1) მუშათა კოოპერაციის საბოლოო მიზანია სოციალიზმი.

2) კოოპერატივები დაინტერესებული არიან, როგორც პროფესიონალური, აგრეთვე მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლით.

3) დამოკიდებულება კოოპერატივებსა და პარტიებს შორის სხვადასხვა ქვეყნებში ერთნაირი არ არის. კოოპერაციის სამგვარი ტიპი გამომუშავდა: ა) ნეიტრალური კოოპერაცია, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს სოციალისტურ პარტიებთან; ბ) პარტიული კოოპერაცია და გ) ისეთი ნეიტრალური კოოპერაცია, რომელიც კავშირებთან და პარტიასთან შეკავშირებულია.

4) პარტიული კოოპერაციის არსებობა რუსეთში, სადაც ორი სოციალისტური პარტია და აუარებელი ამ პარტიათა ფრაქციები არსებობენ, პირდაპირ დამღუპველი იქნებოდა კოოპერაციის საქმისა.

5) როცა მუშათა კოოპერაცია პარტიულია, ის განსაზღვრულ მიზნებს ისახავს (სოციალიზმს).

6) ყველაზე უფრო რუსეთის პირობებს შეეფერება ნეიტრალური კოოპერაცია, რომელიც პარტიასთან შეკავშირებული იქნება.

დამოკიდებულება პროფესიონალურ კავშირებთან.

1) მუშათა კოოპერატივების დამოკიდებულება პროფესიონალურ კავშირებთან უნდა იყოს მეგობრული.

2) კოოპერატივებმა დახმარება უნდა გაუწიონ პროფესიონალურ კავშირებს მწარმოებლებთან ბრძოლაში.

3) კოოპერატივები უნდა შეეცადონ, რომ ყველა მუშები და [illegible] კოოპერატივისა პროფესიონალურ კავშირებში შედიოდნენ წევრებათ.

4) კოოპერატივებმა უნდა შემოიღონ კოლექტიური ხელშეკრულობა.

5) კულტურულ განმანათლებელი და ურთიერთ დახმარების მოღვაწეობის ნიადაგზე კოოპერატივები უნდა შეუკავშირდნენ პროფესიონალურ კავშირებს.

6) ყრილობა სურვილს გამოსთქვამს, რომ კოოპერატივების ყველა წევრები იყონ პროფესიონალურ კავშირის წევრები და პირიქით, პროფესიონალური კავშირის წევრები—კოოპერატივის წევრებათ.

რუსეთის ამბები.

სტოკჰოლმის კონფერენციაზე მონაწილეობის მიღების, როგორც ვიცით, დღემდე სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ რუსეთში „ბოლშევიკები“. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, რომელიც 6 აგვისტოს შესდგა ქ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით, ვ. როზანოვმა მოხსენება გააკეთა თავისი მოგზაურობის შესახებ. როგორც მისი მოხსენებიდან გამოირკვა, ყველა სახელმწიფოს სოციალისტები იმედით უცქერიან სტოკჰოლმის კონფერენციას. არის სხვადასხვა სოციალისტთა შორის წვრილმანი განსხვავება, მაგრამ ეს საერთო მუშაობას ხელს არ უშლისო. მოხსენებას შემდეგ ილაპარაკა „ბოლშევიკმა“ იუ. კამენევმა, რომელმაც აღნიშნა, რომ თავდაპირველათ „ბოლშევიკები“ უარყოფით ეკიდებოდენ სტოკჰოლმის კონფერენციას იმ მოსაზრებით, რომ ზავის ჩამოგდება შესაძლებელია კონფერენციებისა და დიპლომატიური მოლაპარაკებით კი არა, თუ გინდ ამას დემოკრატიის წარმომადგენლები აწარმოებდნენ, არამედ ყველა ქვეყნის პროლეტართა მიერ რევოლუციის მოხდენით. მაგრამ ახლა ჩვენი რევოლუცია მეორე ხაზზე გადმოვიდა, ამიტომ მე უნდა დავიცვა ეს კონფერენცია. ახლა სტოკჰოლმის კონფერენცია იმპერიალიზმისა და პროლეტარიატის შორის არსებული ბრძოლის დამახასიათებელი მოვლენაა; როცა ტერეშჩენკო დაემორჩილა ინგლისის ელჩს ბიუკენენს და კონფერენციის წინააღმდეგ გაილაშქრა, თავის თავად ცხადია და ბუნებრივი,—ჩვენ უნდა დავიცვათ ეს კონფერენციაო. მიუხედავად იმისა, რომ საბჭო აპატიმრებს ჩვენს ამხანაგებს, ჩვენ მაინც უნდა გავამაგროთ ეს საბჭოები, სტოკჰოლმის კონფერენციის მოწყობა კი ჩვენი საბჭოს სახელს აამაღლებსო. „ბოლშევიკების“ მეორე ორატორმა განაცხადა, რომ კამენევი ლაპარაკობს თავის სახელით და მის განცხადებას „ბოლშევიკების“ გადაწყვეტილებასთან საერთო არა აქვს რაო. ჩვენ „ჯალათებთან“ ერთად არასოდეს არ დავსხდებითო. დაბოლოს როზანოვმა აღნიშნა, რომ ტერეშჩენკო არაფრით არ აბრკოლებს რუსეთის დემოკრატიის მუშაობას ზავის ჩამოგდების ნიადაგზეო.

— **მუშების დახვრეტა.** ილისში დასავლეთ ფრონტზე „დამკვრელმა“ ბატალიონმა „ზემგორის“ მეხუთე დრუჟინის სანგრებში მომუშავე ორი მუშა დახვრიტა: პაპოვი,—დრუჟინის მუშათა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და ცისტიუკი,—იმავე კომიტეტის მდივანი. ისინი დახვრიტეს საქმის გამოუძიებლათ—გაუსამართლებლათ. დახვრეტაზე დასასწრებლათ იძულებით გარეკა ჯარმა „დრუჟინის ყველა მუშები და თანამშრომლები. დეპეშებით ლაპარაკობენ, რომ მუშების დახვრეტა „დრუჟინის“ ზოგიერთ მოხელეთა საქმეაო. თვით „დრუჟინაშიაც“, როგორც მუშები და თანამშრომლები ატყობინებენ იუსტიციის მინისტრს და სხვადასხვა რევოლუციონურ დაწესებულებებს, ისეთი სულიერი განწყობილება შექმნილა, რომ ვინც ჯალათათ არ გრძნობს თავს, მისთვის ჰაერის სუნთქვაც ძნელიაო. დაბოლოს დეპეშა ასე თავდება: მოგვეშველეთ,—მოვითხოვთ დაუყოვნებლივ დაინიშნოს მეხუთე „დრუჟინაში“ სახელმწიფოებრივი საგამომძიებლო კომისია, რომელიც გამოარკვევს დახვრეტის მიზეზებს და იმასაც, თუ ვისი შთაგონებით მოხდა ისი.

უცხოეთი.

ომის მოწინააღმდეგეთ ამერიკაში სასტიკათ სდევნიან. იქ სდევნიან აგრეთვე იმ სოციალისტებსაც, რომლებიც სტოკჰოლმის კონფერენციაზე მონაწილეობის მიღების მომხრენი არიან. 13 სოციალისტი მისცეს პასუხისგებაში, რომელთაც სიკვდილით დასჯა მოელით. მათი დანაშაული კი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მათ წიგნაკი გამოუციათ ჯარში ახალგაზრდების გაწვევის წინააღმდეგ. მათ წინააღმდეგ არავითარი ბრალდება არ არის წამოყენებული. ესაა მხოლოდ ბრალდება—ისინი ომის წინააღმდეგნი არიან. ამათ გარდა კიდევ დააპატიმრებიათ ორი გამოჩენილი აგიტატორი, რომელთაც სახელმწიფო ღალატს აბრალებენ. სტოკჰოლმში მისულმა ამერიკელი სოციალისტი ამბობს, რომ იქაური სოციალისტებს უფლება აღარ აქვთ ამერიკის მუშების სახელით ილაპარაკონ. ამერიკაში აუარებელი ორგანიზაციები ეწევიან აგიტაციას ომის წინააღმდეგ, ხალხი ასობითაა ციხეში ჩამწყვდეული ამის გამო და ერთი ამხანაგი ლიტლი კიდეც დახვრიტა მთავრობამ ომის საწინააღმდეგო აგიტაციისთვის.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

სად. სანაინი.

სანაინში პარტიული მუშაობა თანდათან ჩაძლება. სანაინის რაიონს შეადგენს „სანდარ კარაკლისი". ამ რაიონში ირიცხება მუშა-მოსამსახურე 1500 კაცი, აქ ს. დ. ორგანიზაცია არსებობს 1916 წ. 5 თებერვლიდან. გასულ წელში სანაინში პარტიაში მუშაობდა 12 ამხანაგი, მათ შორის ერთი ქალიც.

აქაური მუშების უმეტეს ნაწილს შეადგენენ, სომხები და თათრები, ამისათვის ადგილობრივმა ორგანიზაციამ მიიღო შესაფერი ზომები რათა იმათთვისაც ბლომადნათ დახმარება.

ამ მიზნით კოლექტივის წევრმა დაავალეს ამხ. პ. ჯიბლაძეს, პ. ნანეიშვილს და დ. თავამაიშვილს, რომ ეზრუნათ ბროშურების გავრცელებისათვის და აგრეთვე ეშოვნათ პროპაგანდისტი, განსაკუთრებით სომხური ენის მცოდნე, რომელიც აუცილებელი საჭირო არის ამ რაიონისათვის, და იპოვნეს კიდეც ამხ. ლეონ ელბაკიანცი, რომელიც კითხულობს ლექციებს: რუსულ, ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზე.

რადგან ამ რაიონების მუშების თავის შეყრა ერთად სამსახურის გამო მოუხერხებელია, ამისათვის კოლექტივის წევრებმა ეს რაიონი დაყვეს ხუთ ნაწილად, მაგალითად: კარაკლისი კალაგერანი, სანაინი, ახტალა და ამაგა-სუროლი.

ზემოთ აღნიშნულ რაიონებში ვნიშნავთ კრებებს დრო გამოშვებით, სადაც ეწყობა ამხ. ელბაკიანცი კითხულობს ლექციებს და იძლევა ს. დ. პროგრამის ახსნა-განმარტებას.

სანაინის რაიონში დაშნაკელებიც მუშაობენ და მოუწოდებენ მუშებს, ჩაეწერონ ჩვენს პარტიაში, და მცირედი ნაწილი კიდევაც ჩაეწერნენ, მაგრამ ამხ. ელბაკიანცის ახსნა განმარტების შემდეგ, მუშებმა უარი უთხრეს დაშნაკელებს და ჩაეწერნენ ჩვენს პარტიაში, და ყოველ დღე ეწერებიან. დღეისათვის ჩვენს ორგანიზაციაში ჩაეწერა 600 დე წევრი. ამათში მცირედი ნაწილი ქალებიც არიან.

პრ. დგებუძელი.

ქ. ყარსი.

7 აგვისტოს სახალხო სახლში შესდგა კრება აქაური ს. დ. ორგანიზაციისა, კრებას დაესწრო 200 წევრი, თავმჯდომარედ იყო ამხ. გაგნიძე, მდივნათ ამხ. კასტანოვი. დღიურ წეს-რიგში იყო: 1) მოხსენება ამხ. შეიხოვისა 2) მოხსენება ამხ. კუზანისა, 3) კანდიდატების დამტკიცება, 4) მომენტი და ტაქტიკა.

პირველი მოხსენება შეეხებოდა სოფლებში მუშაობას და იქ სოც. დემ. ორგანიზაციების მოწყობას. ამხ. კუზანმა ვრცელი მოხსენება გააკეთა მომავალ საქალაქო არჩევნების შესახებ. დიდი კამათი გამოიწვია ხმოსანთა კანდიდატების არჩევამ. წამოყენებულია 40 დეპ. მომენტზე და ტაქტიკაზე ილაპარაკა ამხ. გაგნიძემ. სხვათა შორის გაგნიძემ კრებას აცნობა, რომ 6 აგვისტოს პოლპორუჩიკს მოგილევიჩს გაუმართავს სეირნობა სოციალისტურ პარტიების სასარგებლოთ, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ამ სეირნობიდან რგებია 162 მან. კრებამ დაავალა ამხ. გაგნიძეს მადლობა გამოუცხადოს ზემო მოხსენებულ პირს.

პ. ძიმისტარაშვილი.

რევოლიუცია პროვინციაში

ზემო-ქართლი. დღიდან გლეხთა საბჭოების დაარსებისა, ქართლმა ახალი სიცოცხლე იგრძნო და რევოლიუციონურ მოძრაობაში თამამად ჩაება. თუ უწინ მარტო აღმასრულებელი კომიტეტები აწარმოებდნენ ყოველგვარ საქმეებს, დღეს სოფლის კეთილ-დღეობაზე ზრუნვა გლეხთა დეპუტატების საბჭოებმა იკისრეს და ხალხში დიდი ნდობაც მოიპოვეს. რამდენად ნაყოფიერია გლეხთა საბჭოების მოღვაწეობა სოფლად, ამას შემდეგი მაგალითიდან დავინახავთ: 16 მარიამობისთვეს შესდგა დ. ხაშურში, მთელი ხაშურის რაიონის (10 საზოგადოებაა) გლეხთა დეპუტ. საბჭოების დეპუტატთა კრება. ამ კრების დღიურ წეს-რიგს შეადგენდა შემდეგი საკითხები: 1) გლეხთა საბჭოების როლი დღევანდელს რევოლიუციონურ ხანაში, 2) სასოფლო აღმასრულებელ კომიტეტების რეორგანიზაცია და ახალი არჩევნები, 3) ლალების საკითხი, 4) მამულების ძალით ჩამორთმევის საკითხი, 5) ტყით სარგებლობა და ტყეების დაცვა და 6) სასურსათო საკითხი. ყველა ამ კითხვებზე, იქონია რა მსჯელობა საბჭოებმა, გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუციები: 1) გლეხთა საბჭოები, როგორათაც სხვა რევოლ. ორგანიზაციები რევოლიუციის ინტერესებს მტკიცეთ უნდა ემსახურებოდნენ და არავის უფლება არ უნდა მისცენ, კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლები მოახდინონ 2) საბჭოებმა საჭიროთ დაინახეს, მოხდეს ყველგან აღმასრულებელი კომიტეტების რეორგანიზაცია. არჩევნები უნდა მოხდეს ფარული კენჭის ყრით, 3) ლალების მიცემის საკითხი დაეკისროს მომრიგებელ კამერებს, რომელთა დადგენილება სავალდებულო უნდა იყოს ორივე მხარესათვის. ამ კამერების მოწყობის საქმეში საგლეხო საბჭოები იღებენ მონაწილეობას, 4) რადგან სოფლად ზოგიერთი არასაიმედო პირები არეულობას აძლევენ და ხალხს ეუბნებიან, მიწები თქვენ დაგრჩათ, ჩაიბარეთო, და ეს-კი დიდს არეულობას იწვევს ხალხში. ამიტომ საბჭოებმა საჭიროდ დაინახეს უსასტიკესი ზომების მიღება ყოველ გვარი ძალადობის წინააღმდეგ, 5) ტყეების თვალ-ყურის დევნება, მასალისა და შეშის განაწილება დაეკისროს, როგორც აღმ. კომიტეტებს, აგრეთვე საგლეხო საბჭოებს, 6) კრება ღებულობს საგლეხო ყრილობის რეზოლიუციას ზედ-მეტ პროდუქტების და სხვა სურსათის სახელმწიფოზე გადაცემას.

ყველა ეს რეზოლიუციები მიიღო ამ კრებამ და დაადგინა, დაიბეჭდოს და სახელმძღვანელოთ დაურიგდეს სასოფლო აღმ. კომიტეტებს.

ნიკო გურული.

ქუთაისი. 26—30 ივლისს შესდგა ყრილობა ქუთაისის გუბერნიის, ბათუმის და სოხუმის ოლქების ხაზინებში მოსამსახურეთა წარმომადგენლებისა. ყრილობამ მოისმინა მოხსენება კავშირის გამგეობისა სხვადასხვა საკითხებზე. გაარჩია სამინისტროს განკარგულება ხაზინის საქმეების მოწესრიგების გამო და აგრეთვე უფროსების უფლებების აღდგენის შესახებ ძველის წესით. თანახმათ სენაკის ხაზინის მოსამსახურეთა შუამდგომლობისა ყოფილი სენაკის, ეხლა კი ქუთაისის ხაზინის ხაზინადარის ი. პკადუას დათხოვნის შესახებ და ამ საქმეზე მოხდენილ გამოძიებისა, ყრილობამ დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე, პკადუას სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, როგორც ძველი წესწყობილების მოტრფიალესა და იმავე დროს გამოირიცხოს ის კავშირიდან. სრულიად რუსეთის ხაზინების მოსამსახურეთა წარმომადგენლების ყრილობაზე მოსკოვში 6 აგვისტოს დასასწრებლად არჩეულ მ. ს. ვოლოშინს ინსტრუქციები და სხვადასხვა მოთხოვნილებები გადასცა. დააკმაყოფილა გამგეობის რამოდენიმე წევრების შუამდგომლობა თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ და მათ მაგიერ ახალი აირჩია. ამგვარათ გამგეობის შემადგენლობა აირჩია: თავჯდომარე მ. ს. ვოლოშინ, მისი ამხანაგი პ. ი. ამირანაშვილი; წევრები მ. ა. ზურაბაშვილი, ი. ფ. კარტოზია, შანიძე, ს. კ. ესაკია, ქადანი და პ. საფონოვი; კანდიდატები: ვ. პ. პანტურია და თ. ინგია. დასასრულ ყრილობა მოუწოდებს ხაზინის მოსამსახურეებს თავისი ინტერესების დასაცავად მტკიცეთ შემოკრბენ კავშირის გარშემო და ყოველ გამოსვლებს ორგანიზაციული ხასიათი მისცენ.

ხაზინელი.

პროვინციის ცხოვრება.

სოფ. ვაჟა. (გორის მაზრა). 1913 წელს ამ სოფლის ოთხმა გლეხმა ისესხეს ასი თუმანი: სოფ. დირბში მცხოვრებ გიორგი კონსტანტინიდისაგან (ბერძენია) ორი წლის ვადით სარგებელს აძლევდნენ თუმანზე აბაზსა თვეში. ამ ასი თუმნის გარდა, ცალკე ჩამოართვა ქაღალდი, რომელიც ასე ეწერა: თუ დროზე არ ჩამაბარე ასი თუმანი სხვა ჯარიმა გადიხადო. ვადას გადასცდა მხოლოთ ორი თვე, და შემდეგ სრულად ჩამაბარეს. ყველას ეგონათ საქმე გათავებულია, მაგრამ, თურმე ჯარიმის ქაღალდი დარჩენია მას და სარჩელიც აღუძრავს. გლეხებმა მიიღეს უწყება და საოლქო სასამართლოში გამოცხადდნენ. საქმე გაირჩა და სასამართლომ დაადგინა გ. კ. სასარგებლოთ გლეხებმა უნდა გადაიხადონ ჯარიმის სახით ასი თუმანი. საჭიროა, რომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მიიღონ მონაწილეობა და პასუხი მოსთხოვონ გ. გიორგის. თორემ გაძვალტყავებულ გლეხებს ხად შეუძლიათ ხელ მეორეთ იხადონ კიდევ ამოდენა ფული? მევახშის საქციელი დაისჯელათ უნდა დაგმონ.

ვაყელი ხუთა.

საბურთალო. აქ გაჩნდნენ ისეთი პირები რომლებიც არავის არ ეპუებიან. ამ თვის ათს ნაძირალებმა დღის 3 საათზედ გაქურდეს გიორგი მაშულაშვილის სახლი. ფული და სხვადასხვა ნივთები წაიღეს დაახლოებით 2000 მანეთისა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადგილობრივი მოწინავე ელემენტები და მასთან მილიცია ენერგიულ ზომებს მიიღებს, დამნაშავეს შეიპყრობს.

დასასჯელათ თვით ადგილობრივი მცხოვრებნი მიიღებენ ზომებს. არ იქცევიან კარგათ ზოგიერთი აქაური ჯარის კაცები. მანდილოსანს ვერ გაუვლია ისე, რომ მათ სიტყვით შეურაცხყოფა არ მიაყენონ.

დროა თვით მცხოვრებლებმა აიღონ ხმა იმათ წინააღმდეგ, რომელნიც სარგებლობენ დღევანდელი მშვენიერი მდგომარეობით და ბოროტათ ხმარობენ თავისუფლებას.

მ. გ.

სად. ალხალაზა. ცხრაას ხუთს აქეთ აქ აღარ არსებობდა არავითარი კავშირი და ორგანიზაცია. ალხალაზაში ითვლება ორასამდე მოსამსახურე და ამათში მარტო ერთს მოსწონდა მუშათა გაზეთი, 1914 წელს ივლისის რიცხვებში ომის გამოცხადების შემდეგ აქ დროებით გადმოიყვანეს რამოდენიმე სხვადასხვა დარგის მოსამსახურე, მათში იყვნენ მოწინავე პირები, რომლებმაც შესძლეს კიდეც ცოტა რამის გაკეთება, მათი მეოხეობით დაარსდა და მოეწყო გაზეთის აგენტურა, დაარსდა სოც. დემოკრ. წრე. ამ წრემ აიღო ხელში ჟურნალ-გაზეთების გავრცელების საქმე. გაზეთები მოგვქონდა თავის დროზე და ვყიდით დღეში 80 კ., ორ თვეში ჯერ 35 ხელის მომწერი ვუშოვეთ. დაიბადა სურვილი კოოპერატივის გახსნის და სამკითხველო სახლ. მოწინავეთა წრის ხელმძღვანელობით შესდგა რამდენიმეჯერ კრება. გავხსენით კიდეც სავაჭრო. მაგრამ დადგა დრო და ჩვენი სტუმარი მუშებიც აქედან გადაიყვანეს. საქმე თითქოს შეფერხდა, მაგრამ მოგვევლინა დიდებული რევოლიუცია და მუშაობა კვლავ გაჩაღდა. დღეს ალხალაზა ერთნაირ ცენტრს წარმოადგენს ძეგამიდან და ყარაიაზს აქეთ მოსამსახურეთა შორის.

საჭიროა მეტი სიფრთხილე, მეტი ენერგია და შეგნება, რომ გაჩაღებული საქმე ისევ არ მინელდეს.

წილი.

სოფ. ახალ ქალაქი. (გორის მაზრა). სოფ. ახალქალაქში 500-მდე კომლი მცხოვრები არის. რევოლიუციამ ცოტათ თუ ბევრათ აქაც გამოაფხიზლა ხალხი. განათლებისა და პოლიტიკურ ცხოვრების შეგნების სურვილი თანდათან ფეხს იკიდებს საზოგადოებაში, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ აქაური ინტელიგენცია არაფერს არ აკეთებს და ხალხის სურვილს ანგარიშს არ უწევს, არ ცდილობს მიაწოდოს ხალხს რაიმე სულიერი საზრდო. წარმოიდგინეთ, სოფელში სადაც 500-მდე კომლი სცხოვრობს, ერთი საზოგადო სამკითხველო არ მოიპოვება, რომ ახალ-ქალაქელები გაეცნონ, რა ხდება დღეს ამ ქვეყანაში. თუ სამკითხველო ვერ დაარსეს, სამაგიეროთ ჩვენმა ინტელიგენციამ მოახერხა კლუბის დაარსება, სადაც გაჩაღებულია ლოტოსა და კარტის თამაშობა. მართალია აქაურ კლუბს აქვს თავისი საკუთარი სამკითხველო, მაგრამ შიგ შესასვლელათ ფული უნდა გადაიხადონ, ამიტომ ბევრს შეძლება არა აქვს ყოველთვის იხადოს. ინტელიგენტები იმით მართლდებიან თავს, რომ 1911 წელს დავაარსეთ სამკითხველო და რადგან ხალხმა გულგრილობა გამოიჩინა ჩვენც დავხურეთო. კარგი თავის მართლებაა თქვენმა მზემ, ნუთუ მათ ვერ გაიგეს, რომ საერთო ცხოვრებასთან ერთად რუსეთის დიდებულმა რევოლიუციამ ძირიანად შესცვალა ხალხის ფსიხოლოგიაც. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენმა ინტელიგენციამ, ანგარიში გაუწიოს ხალხის სულიერ მოთხოვნილებას და იზრუნოს მის დაკმაყოფილებისათვის და არა კლუბში ლოტო-კარტის თამაშით გაერთოს. ეხლა ამის დრო არ არის.

გ. ფირალოვი.

წერილები რედაქციის მიმართ.

1917 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში გარდაიცვალა ამხ. ეპიფანე იერონიმეს ძე გოგუაძე, რომლის დაკრძალვის დღეს იქ დამსწრე ამხანაგებთა შორის დაიბადა აზრი ჭანჭათის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს დაარსების შესახებ. ამ სიმპატიურ აზრის სისრულეში მოსაყვანად იქვე არჩეულ იქმნა ორი ამხანაგი: აკია წულაძე და მირიან ვადაჭკორია, რომელთაც დაევალა მოეკრიფათ ფული, როგორც იქ დამსწრეთა შორის, ისე სოფ. ჭანჭათის მცხოვრებთა შორისაც. ზემოხსენებულ პირთაგან სამკითხველოს გამგეობამ მიიღო შეგროვილი 81 მ. 80 კ. გამგეობამ მიიღო აგრეთვე ივანე ელიზბარის ძე ვადაჭკორიასაგან მის ამხანაგებთა შორის შეგროვილი 37 მან. ბათუმიდან, კოწია დავითის ძე წულაძის მიერ—38 მ. 20 კ., თბილისიდან ვიქტორ გიორგის ძე წულაძისაგან—5 მ., ალექსანდრე ატანასიოსის ძე ვადაჭკორიასაგან—14 მ., ანეტა რაჟდენის ასული ვადაჭკორიასაგან—41 მ. 45 კ., სიმონ ტოროტაძისაგან—10 მ.

გამგეობა მადლობას უცხადებს როგორც ზემოხსენებულ პირებს, ისე მათაც, ვინც არ დაიშურეს და თავისი წვლილი შესწირეს ჭანჭათის სამკითხველოს სასარგებლოდ.

ჭანჭათის სამკითხველოს გამგეობა.

1 აგვისტოს ბაქოდან სოფ. ჭანჭათში ჩამოასვენეს ამხ. ირაკლი ელიზბარის ძე წულაძე, რომლის მეუღლემ ელისაბედ წულაძისამ ქმრის ნაცვლად საქველმოქმედო მიზნით შესწირა 300 მ. ეს ფული განაწილებულ იქმნა შემდეგ ნაირად: „ერთობის" რედაქციას—10 მ., „სოც.-დემოკრატის" რედაქციას—10 მ., ჭანჭათის სამკითხველოს—180 მ. და 100 მანეთიც გადადებულ იქმნა ჭანჭათის სახალხო სახლის ფონდის გასაძლიერებლად. გულითად მადლობას ვუძღვნით ელისაბედ წულაძისას ასეთი უხვი შემოწირულებისათვის.

სიმონ ტოროტაძე.

განსვენებული ამხ. სიმონ ბლაგიძის წლის თავზე ხსოვნის აღსანიშნავად ქალმა, მარგარიტა ბლაგიძეებმა და სიძე იაკინთე გოგუამ შემოსწირეს სუფსის აღმასრულებელ კომიტეტს 20 მ., აქაურ სამკითხველოს 5 მანეთი, პარტიულ სტამბის ფონდს—5 მანეთი, გაზეთ „ერთობის" ფონდს 5 მ. ჯარისკაცთათვის „ერთობის" გასაწერად 5 მანეთი. პირველი 25 მანეთი გადაეცა დანიშნულებისამებრ, რის გამო სუფსის აღმასრულებელი კომიტეტი და სამკითხველოს გამგეობა დიდ მადლობას უცხადებს ზემო აღნიშნულ პირებს. დანარჩენ 15 მანეთს გიგზავნით გასანაწილებლად.

ბაბილინა გურგენიძე.

დიდათ დაგვამწუხრა ძვირფასი ამხანაგი გიორგი დათაშვილის უდროვოთ გარდაცვალებამ. საუკუნო იყოს ხსენება შენი პატიოსანო მუშაკო.

რუბენ ქივენაშვილი, ანტონ კაზახიძე, ლევან მუდგვუა.

გაზ. „საქართველოს" № 159 მოთავსებულია ვილაც მიხოს წერილი სართიჭალიდან. მიხა მეხება მე და ბრალდებებს აყენებს ჩემს წინააღმდეგ. ამიტომ ვიწვევ მას სამედიატორო სამართალში. უნდა დაამტკიცოს: 1) რომ ჯარისკაცები ქალებს აუპატიურებდნენ, მე ეს ვიცოდი და ზომებს არ ვღებულობდი; 2) რომ საერთოთ უწესოების წინააღმდეგ ზომები არ მიმიღია; 3) რომ მე მუშათა საბჭოს წევრი არა ვარ; 4) რომ მე ჩემი ნებით და სურვილით ვარ დანიშნული კომისარად; 5) რომ მე ხალხს ვაღელვებ ცალკე პატიოსან პიროვნებათა წინააღმდეგ,—განსაკუთრებით თავადებისა და მემამულეებისა; 6) რომ კონდუქტორები ურიგოთ იქცევიან; 7) რომ მე გავმართე ჯარისკაცების მიტინგი იმ მოსაზრებით, რომ გლეხები შემეშინებინა და დამეთრგუნა, ყოვლად უბედურებად და ძველი რეჟიმის მომხრეებად ვაღიარე; 8) რომ გლეხებს ვუსურვე ამოწყვეტა; 9) რომ ფაქტი, თქვენ მიერ აწერილი, როგორ წაერთვა ხარები ქართველებს რეკვიზიციით და როგორ ვუბრუნებდი უკან ქურდებათ ცნობილ თათრებს, სიმართლე არის აღნიშნული. განსამართლება უნდა მოხდეს ს. სართიჭალაში, რადგან ყველა ბრალდება ადგილობრივი ხასიათისაა. გამტყუნებულმა მხარემ უნდა გადაიხადოს ყველა ის ხარჯები, რაც სასამართლოს წარმოების დროს დაიხარჯება. გამტყუნებულმა მხარემ გადაიხადოს ასი მანეთი (100 მ.) ჯარიმა. ხუთი თუმანი სართიჭალის გლეხთა ცენტრალურ საბჭოს სასარგებლოდ და ხუთი თუმანიც გაზეთის სასარგებლოდ. გაძლევთ ვადათ ერთ კვირას დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა. გამტყუნებულმა მხარემ ბოდიში მოიხადოს გაზეთებში. განაჩენი დაიბეჭდოს „ერთობაში" და „საქართველოში". მედიატორიეთ ვასახელებ ინჟინერს იოსებ ბეხელიძეს, სამხედრო სასურსათო კომიტეტის წევრს.

სართიჭალის რაიონის კომისარი ათანასე ქვათაძე.

ფონდი.

25 მ. მიიღეთ პარტიულ სტამბის სასარგებლოთ. გადმომცა კირილე ნაზარენკომ, რომელსაც მიუღია უცნობიდან.

ვიქტორ ულენტი.

გიგზავნით კავკასიის მე-3 მესაზღვრე ქვეითა პოლკის მე-5 როტის ქართველთა ჯარისკაცთა შორის შეგროვილს 25 მ. გაზეთისა და პარტიული სტამბის ფონდის გასაძლიერებლად. ფულს გიგზავნით პრაპორშჩიკის მაქსიმე თურქაძის მონდობილობით ქ. ვანიდან.

ვარლამ დევიძე.

ჩვენი კრების სურვილის თანახმად შევგზავნეთ სტამბის სასარგებლოთ 1-ლ პარკისაგან ოთხმოცდა თექვსმეტი მანეთი და ათი კ. და მე-39 ბრიგადის არტილერიიდან, ოცდათერთმეტი მ., რომელიც გეგზავნებათ. სულ 127 მ. 10 კ.

მე-39 ბრიგადის პირველი პარკის ქართველი ჯარისკაცების მონდობილობით ალფერ ხ. გოგუაძე, ალისტრახ მ. ხოფერია, ხერაპიონ ერ. პილაძე.

ილია მილორდაშვილისაგან 3 მანეთი.

ბათუმი. გიგზავნით სპორნი ეტაპის ქართველ ამხანაგებში შეგროვილ ფულს ორმოც მანეთს. 30 მ. პარტიული სტამბის 10 მანეთი გაზ. „ერთობისათვის".

ქართველი ჯარისკაცების მე-14 თურქესტანის მსროლელ თა პოლკიდან. გიგზავნით მცირე წვლილს. სულ გიგზავნით 12 მ.

ილარიონ ერქვანია.

გიგზავნით ათ მანეთს პარტიულ სტამბის შესაძენად.

თელავის ღვდთა მონასტრის კრებულის დემოკრატიული ნაწილის მონდობილობით საბჭოს თავმჯდომარე მონაზონი თებრონე ჯინორიძის ასული.

ნიკიფორე მიტროს ძე მარლაღუიშვილმა მისი გარდაცვალებული მეუღლის მარინეს გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავათ გაზეთის ფონდს შემოსწირა 10 მ.

ვგზავნი 10 მ. და გთხოვთ გაანაწილოთ ასე: საუკეთესო იდეალებისათვის მებრძოლის, დაუღალავი მაშიკაშვილის ილიკო პატარაიას ხსოვნის აღსანიშნავათ ვგზავნი ათ მ., 5 მან. „ერთობის" სასარგებლოთ და 5 მ. სტამბის შესაძენათ ცხარე ცრემლებით დაგლოვილი ძვირფას ილიკოს სპეტაკ ცხედარს.

დათიკო ფოცხიშვილი.

გამოგზავნეთ 35 მანეთი. 15 მ. პარტიული სტამბის შესაძენათ, 20 მან., პოლიტიკურების დასახმარებლათ.

აპოლონ ცეცხლაძე.

კავკასიის ფრონტზე მყოფნი მე 5 კავკასიის მსროლელთა დივიზიის ლაზარეთში მოსამსახურე ქართველი ჯარისკაცთა ჯგუფი გიგზავნის „ერთობის" სასარგებლოთ 17 მ.

ამხ. მონდობილობით ივანე დიმიტრის ძე მენაბდიშვილი.

ჭიათურიდან ჩომხიძის და სამხარაძის ქარხნის მუშებიდან მივიღეთ 47 მ. 25 მ. სტამბის ფონდს, 6 მ. „ერთობას", 6 მ. „ფაიქარს" 5 მ., „სოც. დემ." და 5 მ. „კავკაზსკიი რაბოჩის".

ილია ნიკოს ძე გოგავა.

ჩვენი ფოსტა.

სართიჭალა. აღმ. კომიტ. თავმჯდომარეს ვ. კანჯარაშვილს. ამხ. ქვათაძე სამედიატორო სასამართლოში იწვევს „მიხას". სასამართლო გამოარკვევს ყველაფერს. ამიტომ თქვენი წერილი „მიხას" შესახებ არ იბეჭდება.

მუშა ქალს. თქვენი წერილიც „მიხას" საპასუხოდ ამავე მიზეზით არ იბეჭდება.

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონის: [illegible] ბოდბე სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: (ავლაბარი, ორთაჭალა, ნავთლუღი) ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა დილ. 9—2 ს., საღ. 5—9 საათ. ტელეფონი № 5—98.

მეოთხე რაიონული კოლექტივი დღეიდან დროებით გადავიდა მე-6 ვაჟთა გიმნაზიაში, უდელნის ქუჩაზედ. ბიურო ღიაა 6—8 საათ. საღამოთი.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან. ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში). კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

ექიმის თანაშემწე
ვანო საათაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—8 საათ. ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება, (სისხლის ნაკლებობ, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ.) ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხვ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი). (12—1)

მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. შინაგანი ავათმყოფობა, პლევრისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სოლენოიდი არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავათმყოფობისათვის. ყოველდღე დილის 9—1საათამდე, საღამოს 6—8 მდე. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი გ. მ. მუხაძე
ქობულეთში გამგზავრების გამო შესწყვიტა ავადმყოფების მიღება ენკენისთვის ბოლომდის.

ექიმი ივანე თიკანაძე
იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი პ. ი. ზვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible]. ტელეფ. 15—00.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, 1—2 და საღ. 5—6 ნახ. ს-დის. გუნიბის ქ. № 41.

ქ. ქუთაისში.
ექიმი მ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ექიმი ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულის და ბათშანგიო (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის" პირდაპირ.

ქუთაისი
ექიმ გ. ი. გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 დ. საათამდე

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. [illegible] ქუჩა, № 4

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზჟის ქუჩა, № 19.

ქუთაისში
ექიმი **ვალერიან ლორთქიფანიძე**
იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7--9 საათამდი. პუშკინის ქუჩა, ციტუშინსკი სახლში.

სწრაფად-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა გაბაევის შესახვევი № 1.